საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№167 (12 237)

18 ივლისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

მშვიდობით, ალკმაარ! გამარჯობა, ლევანტე!

დღეს შოთა არველაძეს ახალი კლუბი ოფიციალურად წარადგენს



შოთა არველაძის "ლევანტეში" გადასვლის საკითხი გუშინ გაირკვა, დღეს მხოლოდ ფორმალობაღაა მოსაგვარებელი. გიორგი დემეტრაძის ("რეალ სოსიედადი") შემდეგ შოთა არველაძე მეორე ქართველი ფეხბურთელი იქნება, რომელიც ესპანეთის მთავარ ლიგაში ითამაშებს.

გუშინ "ალკმაართან" მოლაპარაკებები შედეგიანად დასრულდა - შოთა არველაძემ ჰოლანდიური კლუბისგან, ვისთანაც კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, გათავისუფლების ფურცელი მიიღო.

- მოლაპარაკება დღეს შედეგიანად დასრულდა. გათავისუფლების ფურცელი უკვე მივიღე და ხვალ ესპანეთში მივფრინავ. "ლევანტესთან" კონტრაქტს გავაფორმებ და ახალ გუნდში ვარჯიშს შევუდგები. "ლევანტემ" უკვე დაიწყო ახალი სეზონისთვის სამზადისი. რამდენადაც ვიცი, გუნდი ამჟამად ვალენსიის სიახლოვეს გადის შეკრებას. როგორც გავიგე, უახლოესი ამხანაგური მატჩი 29 ივლისს, "სტრასბურთან" გვაქვს. რაღა თქმა უნდა, ვითამაშებ". - გვითხრა გუშინ შოთა არველაძემ.

"ალკმაარისგან" არველაძის გათავისუფლების ცნობა გუშინ ბევრმა სააგენტომ გაავრცელა. რაღა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია "ლევანტეს" ოფიციალურ ვებგვერდზეც გამოქვეყნდა, დეტალების დამატებით.

"ქართველ ფორვარდ შოთა არველაძეს ჰოლანდიურმა "ალკმაარმა" გათავისუფლების ფურცელი მისცა. შესაბამისად, უკვე გადაწყვეტილია, რომ არველაძე "ლევანტეში" ითამაშებს. ის ხვალ ამსტერდამიდან 11:15 გამოემგზავრება, ვალენსიაში, 13:15-ზე მას "ლევანტეს" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში, ოფიციალურად წარადგენენ.

პრიმერა დივიზიონში ახალი სეზონი აგვისტოს ბოლო უქმეებზე აიღებს სტარტს. "ლევანტე" სასტარტო ტურში, 26 აგვისტოს, "მალიორკას" სტუმრად ეთამაშება.

დავით ცაბაძე

მატჩის ბოლოს რუსთაველებს გოლის გატანა შეეძლოთ

მინიმალურ ზღვარს ქვემოთ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ოლიმპი-ასტანა 0:0

რა თქმა უნდა, ყველაფრის ახსნა შეიძლება. ახლა იტყვიან, ყაზახები გამდიდრდნენ, ფეხბურთი განავითარეს და გუშინდელ შეხვედრაში ფრე ლოგიკური იყოო - საქართველოს ჩემპიონის მეტოქის წლიური ბიუჯეტი ხომ 8 მილიონი დოლარია. ასეა ბოლო შვიდი წელიწადი, თუ არ ჩავთვლით წლევანდელ სამთვიან ჩავარდნას, როდესაც "ასტანაში" ხელფასებს დროულად ვერ არიგებდნენ. რუსთავის "ოლიმპის" წლიური ბიუჯეტი კი 600 ათასია. რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, ასეთი სოლიდური განსხვავება, საბოლოოდ, შედეგშიც უნდა აისახოს, მაგრამ....

თუმცა, ცუცა, ერთი წამით, სდექ! ბოლო დროს გამდიდრებული ყაზახური, აზერბაიჯანული და ევროპული კლუბების ბიუჯეტები შევადაროთ. ყაზახეთში ყველაზე მდიდარი პავლოდარის "ირტიშის" წლიური დაფინანსება 25 მილიონი დოლარია, "ტობოლისა" -14 მილიონი, "ყაირათის", ყარაღანდის "შახტიორის", ბაქოს "ნეფთჩისა" და "ოლიმპიკის", ლენქორანის "ხაზარისა" და "ბაკის" კი 20-20 მილიონი დოლარი.

ახლა ევროპაშიც გავიხედოთ, შვეიცარიის ყველაზე მდიდარი კლუბების ბიუჯეტები 7-9 მილიონში მერყეობს, ჩემპიონთა ლიგაში შარშანწინ გასული "თუნის" ბიუჯეტი სამი მილიონი ევრო (!) გახლდათ, ბუნდესლიგაში მოასპარეზე "ფრაიბურგისა" მხოლოდ 3 მილიონი დოლარი, "ესპანიოლისა" კი - 21 მილიონი! აბა, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, რომ ეს აზიური "გრანდები" დასახელებულ ევროპულ კლუბებს ჯობია? სასაცილოც იქნება.

ყველაფერი ფულით რომ ისაზღვრებოდეს, მაშინ მსოფლიო ჩემპიონი საუდის არაბეთი ან ქუვეითი გახდებოდა. მათი ფული ბრაზილიელებს არც დაესიზმრებათ, მაგრამ რა ხეირი? უნიჭოს ვერც ფული და ვერც ლეგიონერი უშველის.

რახან ფრე გამოგვგლიჯეს, იტყვიან, "ასტანა" საშუალო ევროპული დონის გუნდიაო და ყაზახური ფეხბურთის ზრდის არგუმენტად ახლახან ინტერტოტოზე "ტობოლის" ჩეხურ "სლოვანთან" გამარჯვებას მოიყვანენ. ამაში ერთგვარი სიმართლე არის. თუმცა მთავარი ისაა, რომ ჩვენი ფეხბურთია მძიმე დღეში და თვალები ყველას გვაქვს - "ასტანა" ისევეა საშუალო ევროპული კლასისა, როგორც თბილისია პატარა პარიზი.

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

მინიმალურ ზღვარს ქვემოთ

ოლიმპი-ასტანა

0:0

17.07.07. რუსთავი. ფოლადი. 4 200 მაყურებელი

ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, ორბელაძე, აკუასაგა - გენაძე, სილაგაძე (67. კოშკაძე), ჭიჭველიშვილი, ჟივკოვიჩი (46. რ. ჯიქია), ნავალოვსკი - დვალი (55. ბოდრი ჯილდასი), დვალიშვილი

სათადარიგოები: ალავიძე, კახელიშვილი, ხუბუა.

ასტანა: ბოიჩენკო - კუმისბეკოვი, კუჩმა, ჟალმაგამბეტოვი, ჩიჩულინი - სერგიენკო, ტოდოროვი (90. ალიევი), ბულატოვი, კენჟისარიევი (74. კუკეევი)- სუჩკოვი, კოჩკაევი (46. ტლეხუგოვი)

სათადარიგოები: კუზნეცოვი, სუიუმაგამბეტოვი, აქსიონოვი, აბუვალიევი.

გაფრთხილება: დვალი (27), ტოდოროვი (36), ჟალმაგამბეტოვი (69), ჩიჩულინი (74), კუჩმა (79), გენაძე (80).

არბიტრი: მ. ბორსკი (პოლონეთი).

პირველი გვერდიდან

ყველაფრის მიზეზი ისაა, რომ უსუსური საფეხბურთო ერი გავხდით და მარცხის "ობიექტური" მიზეზების ახსნის წესებიც ვისწავლეთ. ყაზახებთან ფრე კი მარცხის ტოლფასია, რადგან არსებობს მინიმალური ზღვარი, რომლის დაბლაც არ უნდა დავშვებულიყავით, მაგრამ დიდი ხანია დავეშვით.

ათი წლის წინათ, **დავით ყიფიანს** პორტუგალიურ კლუბთან ნაგებას ვერ ვპატიობდით, ახლა კი ყაზახურ კლუბთან ვერაფერს ვაწყობთ.

ყაზახები ფეხბურთში რომ მოიკოჭლებენ, აქედანაც ჩანს: გასაძლიერებლად "სახელგანთქმულ" რუს სპეციალისტ **ალექსანდრ ირხინს** და რუს ვეტერანებს უხმეს. ამ ირხინს ოდესლაც ვორონეჟის "ფაკელში", სტავროპოლის "დინამოსა" და მსგავსებში უმუშავია. ყაზახები დღემდე უზარმაზარ ფულს მესამეხარისხოვან რუსებს ახარჯავენ და გაცილებით მაღალი კლასის ევროპელ სპეციალისტებსა და მოთამაშეებს არ იწვევენ. ამხელა ფულით ევროპელები მთებს გადაატრიალებდნენ, ჩვენ კი ვიხილეთ საცოდავი გუნდი, რომელიც კარგად "მუშაობს", მაგრამ ფეხბურთს ვერ თამაშობს. ასეთთან სახლში ფრე სირცხვილია.

ვლადიმერ დვალიშვილი სამი ყაზახი ფეხბურთელის გარემოცვაში

რა თქმა უნდა, საყურადღებო არგუმენტს ანგარიში გავუწიოთ და ვაღიაროთ, რომ სეზონის დასაწყისში საუკეთესო თამაშს გუნდი ვერ აჩვენებს. თუმცა ყაზახების არგუმენტიც მოვისმინოთ - მათთან პირველი წრე დასრულდა და გუნდი საუკეთესოდ ვერც ამ დროს თამაშობს. ესეც აქსიომაა.

სადაც სამართალია, ისიც ვთქვათ, რომ რუსთავის "ოლიმპმა" პოტენციალით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე ითამაშა. ახალწვეულები საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. გაბონელი ცენტრალური მცველი **ერნესტ აკუასაგა** კარგი შენაძენია. ცოტა ტექნიკასა და პასებში მოიკოჭლებს, მაგრამ უშუალო მოვალეობა უნაკლოდ შეასრულა. უვარჯიშებელია, მაგრამ მაინც საინტერესოა ცენტრალური ნახევარმცველი, სერბი **ვლადან ჟივკოვიჩი.** პირველი ტაიმის ბოლოს კუნთი გაიჭიმა, უვარჯიშებლობამაც კვალი დაატყო და შეცვალეს... და კონგოელი **ბოდრი ჯილდასი,** რომელიც გუნდში ბადრიდ მონათლეს - სწრაფი, დაუღალავი ფორვარდი ბევრს მოძრაობდა, უკან იხევდა, შეტევებს იწყებდა, რამდენჯერმე შეტევაც გაამწვავა. თამაშში ურიგოდ არც **ალეკო კოშკაძე** ჩაერთო. სხვებმაც, მცველებმა, ნახევარმცველებმა, თავდამსხმელებმა ბევრი იწვალ-იმუშავეს, მაგრამ არ იყო ტემპი და ერთი შეხებით კარისკენ გადაადგილება. სამაგიეროდ, იყო მონოტონურად ბურთის თრევა და გადაცემები მოედნის გასწვრივ ან უკან! წინ ჩაწოდებების უმრავლესობაც ძირითადად "მეორე სართულზე" იყო გათვლილი, რამაც ტანმაღალ და ათლეტ ყაზახებთან არ გაამართლა.

ვარლამ კილასონიამ თამაში 3-5-2 ტაქტიკური განლაგებით დაიწყო. საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურებოდა საყდენად **ლევან სილაგაძისა** და **დათო ჭიჭველიშვილის** დაყენება. ამ გადაწყვეტილების მიზეზი **ლაშა ქებაძის** უთამაშებლობაა. სილაგაძე ბოლო დროს საყრდენია, ჭიჭველიშვილი კი ამ პოზიციაზე ბათუმის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. თუმცა სისწრაფე ორივეს აკლია, რაც "ოლიმპის" შეტევებსაც დაეტყო.

ფლანგებზე მოთამაშე **გიორგი ნავალოვსკი** და **რეზო გენაძე** მონდომებით დაგვამახსოვრდნენ, მაგრამ ბურთის ზედმეტი თრევით შეტევის წამოსაწყებ ძვირფას წამებს კარგავდნენ.

4-4-2 სათამაშო სქემით განლაგებული ყაზახები პრესინგით მასპინძლებს სათამაშო სივრცეს უზღუდავდნენ. რამდენჯერაც რუსთაველებმა სისწრაფე ჩართეს, იმდენი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ მწყობრად და სწრაფად ეს 90 წუთის განმავლობაში ვერ მოახერხეს. კარზე დაგეშილმა **ლადო დვალიშვილმა** ტაიმის დასაწყისში მეკარე ორჯერ შეაშინა - პირველად სიზუსტემ უმტყუნა, მეორედ კი **სერგეი ბოიჩენკომ** ივარგა და ძლიერი დარტყმა აულო.

მე-18 წუთი: **ჯაბა დვალი** მარცხენა ფლანგზე მდევარს გაექცა და საჯარიმოში გენაძე მოძებნა, რომლის დარტყმამაც ბადე შეარხია, სამწუხაროდ, მხოლოდ გარედან.

24-ე წუთი: მახვილი კუთხიდან დვალიშვილის დარტყმას ისევ ბოიჩენკო გადაეფარა.

ანგარიშის გახსნა 28-ე წუთზე შეიძლებოდა. მეკარე **მირზა მერლანმა** ბურთი მეტოქის საჯარიმოსკენ გაგზავნა, მცველი შეცდა და მეკარის ნაცვლად, ბურთი კარის წინ მარტო დარჩენილ დვალიშვილს მიუგორდა, მაგრამ ბურთი დროულად ვერ მოათვინიერა და მშვენიერი მომენტი დაკარგა.

მეორე ტაიმი იმედიანად დაიწყო. დვალმა შესანიშნავი გადაცემით მეკარესთან შვიდ მეტრში **რეზო ჯიქია** დატოვა, მაგრამ მცველი ჩაუწვა და არ გაატანინა.

მერე კოშკაძის ჯერი დადგა, რომელიც საკმაოდ კარგად ჩაერთო თამაშში. შეცვლაზე შემოსულმა ნახევარმცველმა 69-ე წუთზე ჯარიმიდან ბურთი "ცხრიანისკენ" გაუშვა, მაგრამ მეკარე ისევ საიმედოდ გაისარჯა.

70-ე წუთი: საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ჯიქია ბოდრი ჯილდასმა მონახა, მაგრამ "მგლებიდან" განათხოვრებულმა თავდამსხმელმა ბურთი დროულად ვერ დაამუშავა და ვითარება განიმუხტა.

ერთი სიტყვით, რუსთაველებმა ბევრი იწვალეს, ინერტულობას ვერ დავწამებთ, მაგრამ სახიფათო მომენტის საგოლედ გარდასახვა ვერ შეძლეს. ბოლოს შტურმის მოწყობა სცადეს, მაგრამ "ასტანის" დასამარცხებლად ფხა, ჯანი და კლასი არ ეყოთ.

სტუმრებმა სულ ორჯერ შექმნეს მომენტი და გულშემატკივრებს გულიც გადაუქანდათ. 57-ე წუთზე **ბულატოვის** დაწყებული კომბინაცია საჯარიმოსთან **არსენ ტლეხუგოვმა** გააგრძელა, **სერგო ორბელაძეს** გასცდა და რუსთაველები ვაის დაძახებას აპირებდნენ, მაგრამ ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

90-ე წუთზე კი მირზა მერლანმა "ოლიმპი" აშკარა გოლისგან იხსნა: ისევ ტლეხუგოვმა ივარგა, ორბელაძე ფინტით ჩამოიშორა და ბურთი ტყვიასავით გაუშვა, მაგრამ ამ საუკუნეში ქართველი მეკარისგან რომ არ გვახსოვს, მერლანმა ისეთი რეაქცია გამოავლინა.

თანამედროვე ფეხბურთის ფორმულა **მარჩელო ლიპიმ** ჩამოაყალიბა - თუკი ხუთ წამში შეტევა მეტოქის ნახევარზე ვერ გადავიტანეთ, მირჩევნია დაცვაში ჩავჯდეთო.

სამწუხაროდ, ქართველების სწრაფ, მოძრავ და აზრიან ფეხბურთს მხოლოდ ძველ კადრებში თუ იხილავთ. თანამედროვე ფეხბურთი ვერც "ოლიმპმა" აჩვენა. რუსთაველებმა მეტოქის საჯარიმოში გადასვლა 90 წუთშიც ვერ შეძლეს. ერთადერთ იმედად ისევ "ასტანა" რჩება - ასეთ უკლასო გუნდთან მოგება ქართველებს ჯერ კიდევ შეგვიძლია და იქნებ, "ოლიმპმა" განმეორებით მატჩში მაინც ივარგოს.

მერაბ მამულაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

პირველ ტაიმში რუსთაველთა თამაშს ჟივკოვიჩი (შუაში) ალაგებდა

ბოდრი ჯილდასი (ბურთით)

რუსთაველთაგან დავით ჭიჭველიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო

სხვა მატჩები

ზეტა (ჩერნოგორია)-კაუნასი (ლიტვა)	3:1
კაუნასელთაგან გოლი 68-ე წუთზე კვარაცხელიამ გაიტანა	
ხაზარი (აზერბაიჯანი)-დინამო (ხორვატია)	1:1
აპოელ (კვიპროსი)-ბატე (ბელარუსი)	2:0
ტნს (უელსი)-ვენტსპილსი (ლატვია)	3:2
ლინფილდი (ჩრ. ირლანდია)-ელფსბორგი (შვედეთი)	0:0
მურატა (სან მარინო)-ტამპერე (ფინეთი)	1:2

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
მრავალჯერ ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

პრესკონფერენცია

ოლიმპელები იმედს არ კარგავენ

ალექსანდრ ირხინი: - ახალი მოსული ვარ გუნდში, რამდენიმე მოთამაშეს ამპლუა შევუცვალე და გუნდის თამაში ჯერ კიდევ არაა დალაგებული. მეტოქემ შეხვედრის დასაწყისში დაგვჯაბნა. საერთოდ, პირველ ტაიმში უარესად ვითამაშეთ, ვიდრე მეორეში. შესვენების შემდეგ თამაში დავალაგეთ და საგოლე მომენტებიც შევქმენით...

- მეტოქე ახალი შეკრებილია და ნელ-ნელა შედის ფორმაში. ჩვენ კი პირიქით, დაღმასვლა დაგვეწყო, რადგან ფეხბურთელები გადაღლილები არიან. ყველაფერმა ამან დღევანდელ მატჩში იჩინა თავი...

- ფეხბურთელების შეფასებისგან თავს შევიკავებ. მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ მათ ბოლომდე იბრძოლეს. როცა ფეხბურთელები გადაღლილები არიან, თავდადება ძალიან ბევრს ნიშნავს. ახალბედების გამოყვანით გარკვეული რისკი გავწიე, მაგრამ თამაშამდე შემადგენლობის შერჩევისას ყოველთვის არსებობს შეცდომის ალბათობა.

- საპასუხო მატჩში შესაძლოა იყოს ცვლილება სასტარტო შემადგენლობაში, მაგრამ ამაზე ახლა ზუსტად ვერაფერს გეტყვით.

- ტლეხუგოვს ზურგის ტკივილი აწუხებდა და ამიტომ ვერ ჩავრთეთ თამაშში თავიდანვე. შესაძლოა მეორე მატჩშიც შეცვლაზე ვათამაშოთ.

- შეტევაში ვერ ვიაქტიურეთ, ერთგვარად შებოჭილები ვიყავით. ესეც შეუთამაშებლობის ბრალია და ნურც ის დავივიწყდება, რომ სტუმრად ვთამაშობდით, უცნობ მეტოქესთან. გარკვეულწილად ამანაც შებოჭა ბიჭები, ფრთხილად თამაშობდნენ.

ვარლამ კილასონია: - ვიცოდით, რომ სერიოზული ბრძოლა გვექნებოდა და ასეც მოხდა. ძირითადად ჩვენ ვფლობდით უპირატესობას, მაგრამ ეს ანგარიშში ვერ ავსახეთ. ყველაფრის მიუხედავად ნურავინ იფიქრებს, რომ სპასუხო მატჩში რაიმეს დამთმობნი ვართ. გპირდებით, რომ მეორე რაუნდში გასასვლელად ყველაფერს ვიღონებთ. ფაქტობრივად, ახალ გუნდს ვაყალიბებთ, ჯერ კიდევ შეუთამაშებლები ვართ და ეს ჩანს კიდეც ჩვენ თამაშში.

- ისეთი შეცვლები გავაკეთეთ, როგორსაც საჭიროდ მივიჩნევდით. ჟივკოვიჩი უვარჯიშებელია და სასურველ ფიზიკურ კონდიციაში არაა. პირველი ტაიმის ბოლოს დაღლა დაეტყო და ამიტომ შევცვალეთ. სანამ ძალა ჰქონდა, კარგადაც თამაშობდა. მეორე ტაიმში ცენტრი დავკარგეთ და მერე კოშკაძე ჩავრთეთ თამაშში. რაც შეეხება ჯილდასს, დვალიც დაიღალა და მისი გამოყვანა ამიტომ გადავწყვიტეთ. ცოტა ხანი მოუწია თამაში, თანაც უკან ჩამოდიოდა და ამიტომ ვერ გამოიჩინა თავი. მისთვის უკნიდან თამაში არ დაგვივალებია, უბრალოდ, ვითარებამ მოიტანა ასე.

- ვფიქრობ, სელექცია სწორად წარმართეთ. ბუნებრივია, მინდა ჩემს განკარგულებაში უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები იყვნენ, მაგრამ იმ პირობებიდან გამომდინარე, რაც ჩვენ გვაქვს, ვფიქრობ, გუნდში უძლიერესები მოვიწვიეთ.

მატჩისშემდგომი კომენტარებიდან

მირზა მერლანი: - მოგება ძალიან გვინდოდა. საგოლე მომენტებიც გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ვფიქრობ, ეს ფრე ცუდი შედეგი სულაც არაა და სპასუხო თამაშში ყველაფერს გავაკეთებთ მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის.

დღევანდელ მატჩამდე მეტოქეს თითქმის არ ვიცნობდით. ახლა უკვე ვიცით მათი თამაშის ხელწერა. ამ ბარიერის გადალახვა ჩვენს ძალებს არ აღემატება და ეს უნდა შევძლოთ.

მიხეილ მახვილაძე: - ყაზახეთში გახურებული სეზონია, ჩვენ კი პირველი ოფიციალური მატჩი ჩავატარეთ. გუნდი შეთამაშების პროცესშია და, აქედან გამომდინარე, რთული მატჩი გვქონდა. ვფიქრობ, შანსები თანაბარია.

მეტოქეს რუსული ფეხბურთის ხელი ეტყობა. ვფიქრობ, სპასუხო მატჩში ჩვენი პლუსები უნდა გამოვიყენოთ.

ვლადიმერ დვალიშვილი: - ყველაფერი გავაკეთეთ გამარჯვებისთვის, მაგრამ... ბოლოს ღმერთმა გადმოგვხედა და გოლს გადავურჩით. სპასუხო თამაშში სასურველი შედეგის მიღწევას შევეცდებით. ამ ბარიერის გადალახვა მართლა შეგვიძლია და ეს უნდა მოვახერხოთ.

რევაზ გენაძე: - დიდი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ შეტევების დამაგვირგვინებელ ფაზაში ყოველთვის მცირედი გვაკლდებოდა. არა და ერთი გოლი მაინც რომ გაგვეტანა, კიდევ შევაგდებდით. თუნდაც მინიმალური ანგარიშით მოგება, სპასუხო მატჩის წინ საკმაო ფორას მოგვცემდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად მოგვიწევს თამაში, მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის ყველაფერი უნდა გავიღოთ.

გიორგი ნავალოვსკი: - ვფიქრობ არ გაგვიმართლა. ფორტუნა ჩვენსკენ რომ ყოფილიყო, ერთს გოლს მაინც გავიტანდით. არა უშავს, სპასუხო თამაშში სასურველი შედეგის მიღწევას ყველანაირად შევეცდებით. დარწმუნებული ვარ, ამ ბარიერს გადავლახავთ.

რევაზ ჯიქია: - ანგარიშის მიუხედავად, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ურიგო შანსი ნამდვილად არ გვაქვს. დღესაც შეგვეძლო მოგება, მაგრამ მცირედით არ გაგვიმართლა. ვფიქრობ, ამ გუნდთან სტუმრად მოგება ნამდვილად შეგვიძლია.

სერგი ორგელაძე: - გოლის გატანა დღეს ნამდვილად შეგვეძლო. ერთი გოლი მაინც რომ გაგვეტანა, კარგი ფორა გვექნებოდა. ყაზახეთში რთული მატჩი გველის, მაგრამ თავი უნდა გადავდოთ და მომდევნო ეტაპზე გასვლა მოვახერხოთ.

დავით ცაბაძე

პეტარ სეგრტის კომენტარი

ოლიმპისგან მეჭს ველოდი!

ხორვატი მწვრთნელი კახელიშვილის უთამაშებლობამ გააკვირვა

„ოლიმპისა“ და „ასტანის“ მატჩს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტარ სეგრტი** ესწრებოდა. როცა რუსთავული კლუბი საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხორვატმა სპეციალისტმა გვითხრა, ჩემპიონთა ლიგაში სუსტი მეტოქე არ არსებობს და ცხადია, რომ „ოლიმპს“ თუნდაც პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გასავლელად დიდი ჯაფა დაადგება, მაგრამ მინიმუმ მეორე ეტაპზე მაინც უნდა გავიდესო. გუშინ, მატჩის შემდეგ, ჩვენთან საუბრისას სეგრტმა სწორედ ის სიტყვები გაიხსენა და არ დამალა, რომ ყაზახეთის პირველ გუნდთან მატჩში საქართველოს ჩემპიონისგან გაცილებით მეტს ელოდა.



პეტარ სეგრტი

„დიახ, ისევე როგორც სტადიონზე მოსული გულშემატკივარი, „ოლიმპისგან“ მეც მეტს ველოდი. იმედი მქონდა, რომ რუსთაველები მინიმუმ რამდენიმე სახიფათო მომენტს მაინც შექმნიდნენ,“ – გვითხრა მან ნამატჩევს და მერე თამაშის გარჩევას შეუდგა, - *„დაძაბული მატჩი გამოვიდა, უხვი ორთაბრძოლებითა და ხისტი ფეხბურთით. ეს მოსალოდნელიც იყო. თამაშის მოგება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ფრე მაინც ლოგიკური შედეგია. როგორც გითხარით, იმედი მქონდა, რომ „ოლიმპი“ მოიგებდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე გუნდი უფრო კომპაქტური უნდა იყოს. „ოლიმპს“ კი დღეს შეუთამაშებლობა ეტყობოდა – დასანანი შეცდომებიც მრავლად იყო.“*

პირველი ტაიმის შემდეგ სეგრტმა ძალიან აქო „ოლიმპის“ სერბი ახალწვეული **ვლადან ჟივკოვიჩი**. *„აშკარად ეტყობა, რომ კარგი ფლეიმეიქერია. რამდენჯერაც ბურთს შეეხო, იმდენჯერ კლასი გამოავლინა. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ არ ტვირთავენ, ნაცვლად იმისა, რომ თამაში მასზე აიგონ,“* – გვითხრა მან და იქვე, ორი სიტყვით, კიდევ ერთი ახალწვეული, მცველი **ერნესტ აკუასაგაც** შეაფასა, - *„ფიზიკურად ძალიან ძლიერია, კარგად თამაშობს მეორე სართულზე. „ოლიმპისთვის“ აშკარად ჩინებული შენაძენია.“*

ამასთან, სეგრტმა გაკვირვება ვერ დამალა იმის გამო, რომ „ასტანასთან“ თამაში არ მოუწია **კახელიშვილს**. *„ გიორგი საქართველოში ერთ-ერთი ტალანტია. მე მას, როგორც ფეხბურთელს, ძალიან ვაფასებ და მიკვირს, დღეს თამაში რომ არ მოუხდა. ისე არ გამიგოთ, თითქოს „ოლიმპის“ მწვრთნელის საქმეში ვერეოდე, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ „კახელოს“ გამოყენება შეიძლებოდა,“* – გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა.

რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ეს გახლდათ პირველი შემთხვევა ქართული ფეხბურთის ისტორიაში, როცა ჩვენმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საშინაო მატჩი ვერ მოიგო. სეგრტი: *„გული მწყდება, რადგან საკუთარ მოედანზე ფრე მეტად არასახარბიელო შედეგია, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ სპასუხო მატჩში რუსთაველები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მეორე ეტაპზე გავიდნენ. ამ გუნდს ნამდვილად შეუძლია „ასტანის“ გამოგდება. და მეტად არასასიამოვნო ფაქტი იქნება ის, რომ მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება ყაზახებმა მოიპოვონ.“*

გოტფრიდ ლენცი



აფციაური ზესტაფონში

უკრაინაში არაა ჩემი ფეხბურთი

თორნიკე აფციაური

თორნიკე აფციაური რუსთავის "ოლიმპში" აღარ ითამაშებს. ის კარიერას საქართველოს ჩემპიონის კონკურენტ "ზესტაფონში" გააგრძელებს. ეს გუშინ თავად გვითხრა, როდესაც ახალციხის "მესხეთში" მის გადასვლაზე გავრცელებული ინფორმაციის კომენტარი ვთხოვეთ.

"ახალციხეში წასვლისა რა გითხრათ და "ოლიმპში" აღარ დავრჩები. გუნდთან კონტრაქტი დამისრულდა და ალბათ, "ზესტაფონში" ვითამაშებ. წინასწარ უკვე ვისაუბრეთ, კონტრაქტის პირობებს კი გუნდის ურეკიდან ჩამოსვლის შემდეგ შევათანხმებთ. 20 ივლისიდან "ზესტაფონს" თურქეთში, შეკრებაზე გავყვები", - გვითხრა აფციაურმა.

მანამდე კი მან უკრაინაში სცადა მონყობა, მაგრამ... მარიუპოლში გასინჯვაზე ჩასული, საკუთარი სურვილით წამოვიდა უკან. ფლეიმეიკერმა გვითხრა, რომ მიზეზი მათი სტილი აღმოჩნდა: "უკრაინელებთან სულ რამდენიმე დღე ვივარჯიშე და მივხვდი, ეს არ იყო ჩემი გუნდი. მას არ სჭირდებოდა კლასიკური გამთამაშებელი, "შეი-ბიგი" კი ჩემი ფეხბურთი არაა. ამ დროს, ნებისმიერი მოთამაშისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი გუნდის მონახვა. ამის გამო წამოვედი".

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

აკირემი დინამოს ვარჯიშზე

ინტერვიუ ჯორჯ აკირემთან

ვადუცს გავივლით

გუნდისა და გასული სეზონის საუკეთესო მეგოლის სანდრო იაშვილის შვეიცარიაში გადაბარგების შემდეგ, "დინამოს" ქომაგს ერთი კითხვა აწუხებს – ვინ შეცვლის იაშვილს? პასუხს ამას გასცემს დუშან უჰრინის გუნდის მომავალი მატჩები. მანამდე კი ერთი შეიძლება ითქვას – შეუცვლელი არავინაა. "დინამოში" რამდენიმე ფორვარდი ვარჯიშობს. ბორის გონჩაროვს, ილია სპასოევიჩს, ზამირ ჯანაშიას ქართველი ქომაგი კარგად იცნობს. აი ჯორჯ აკირემზე კი ცოტა რამ იცის. გაბონის ნაკრების ცენტრფორვარდმა გერმანულ შეკრებაზე პირველივე თამაშში ჰეთ-თრიკი შეასრულა. გაბონელი დიღმის ბაზაზე მოვინახულეთ და რამდენიმე კითხვით მივმართეთ. საუბარი მან თავისი პერსონის წარდგენით დაიწყო...

- გაბონის ეროვნული ნაკრების 25 წლის ფორვარდი ვარ. ეროვნულ ნაკრებში 15 მატჩში 7 გოლი გავიტანე. ბოლოს მადაგასკარი დავამარცხეთ და ერთი გოლი ჩემს ანგარიშზეა. სხვა გოლები ნაკრების მაისურით, ალჟირს, ანგოლას და სხვა ნაკრებებს გავუტანე.

მყავს მეულლე. ოჯახი ამ ცოტა ხნის წინათ შევქმენი და შვილი ჯერ არ მყავს. 5 ძმა და 4 და მყავს. სხვათა შორის, ჩემი უმცროსი 21 წლის ძმა, გაბონში, ერთერთ ადგილობრივ გუნდში მარჯვენა მცველია.

- "დინამოსა" და საერთოდ საქართველოზე რა ინფორმაცია გქონდათ?

- მართალი გითხრათ, ბევრი არაფერი ვიცოდი. თავდაპირველად ინტერნეტში შევეცადე ცნობების მოძიებას. მერე გამახსენდა, რომ ჩემს აგენტ გიას (გურული) ერთი გაბონელი საქართველოში ჰყავდა წაყვანილი, კესანს ვგულისხმობ. ის ერთერთ ქართულ გუნდში თამაშობს, მაგრამ სახელი ("ზესტაფონი") ვერაფრით დავიმახსოვრე. მე და კესანი თითქმის ძმები ვართ. ბავშვობიდანვე ერთ სოფელში ვიზრდებოდით. ერთი სიტყვით, როცა "დინამოში" ტესტირება შემომთავაზეს, კესანს დავუკავშირდი...

- და რა გითხრათ კესანმა?

- კესანსაც ვესაუბრე და მერე ალენ ჟირესსაც. ის ხომ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა და აქაურობაზე ბევრი იცის. ჟირესისა და კესანის ნათქვამი ერთი და იგივე იყო. ორივემ მითხრა, რომ თბილი ქვეყანაა – ხალხით, კლიმატით. "დინამო" კი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე და ყველაზე ტიტულოვანი კლუბიაო. ისიც გავიგე, რომ 26 წლის წინათ "დინამოს" ერთ-ერთი ევროთასი აუღია... ასე რომ, მინდა, "დინამოში" ვითამაშო.

- თბილისის "დინამოს" გერმანიაში შეუერთდით და რამდენიმე ამხანაგურ მატჩშიც ითამაშეთ. პირველივე შეხვედრაში ჰეთთრიკი შეასრულეთ, მერე კი აღარ გაგიტანიათ...

- "დინამოში" გერმანიაში ოთხჯერ ვითამაშე. პირველივე მატჩში, "გერასთან" 3 გოლი გავიტანე. მერე თითო ტაიმის განმავლობაში მიწევდა თამაში და გოლი აღარ გამიტანია. თუმცა დასკვნით შეხვედრაში, "კარლ ცაისთან" მერებაშვილმა ჩემი პასით გაიტანა გოლი.

- მართლაც ჩინებული პასი გააკეთეთ. გაგიმართლათ და გამოგივიდათ თუ მსგავს პასებს ხშირად აკეთებთ ხოლმე?

- მართალი გითხრათ, თავის ქება არ მჩვევია... მსგავსი პასების გაკეთება შემიძლია. ეს არ იყო გამართლება და თუ "დინამოში" თამაში მომიწევს ყველა დარწმუნდება, რომ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი ვარ.

- უკვე რამდენიმე დღეა, "დინამოში" ვარჯიშობთ. რამდენად გრძნობთ მწვრთნელთა სიმპათიას და ვითარება რამდენად მოგწონთ?

- გუნდში ჩინებული ატმოსფეროა. ევროტურნირებისა და ახალი სეზონისთვის გამალებული მზადება მიდის. ბიჭები კონტაქტურები არიან, ყველასგან თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ.

- უფრო ახლო ურთიერთობა ვისთან გაქვთ?

- ილია (სპასოევიჩი), ნიკი (ფირცხალავა), რიჟი (სანდრო კობახიძე) და ოდო (დავით ოდიკაძე) ჩემი ახლო მეგობრები არიან. ისე კი, ყველასთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. ბიჭები ჯორჯს მეძახიან...

- როგორ ფიქრობ, კონტრაქტს მალე გააფორმებთ?

- იმედი მაქვს, ხელშეკრულებასაც გავაფორმებ, ჩემი სატრანსფერო ფურცელიც ჩამოვა გაბონიდან და "დინამოს" რიგებში ევროტურნირებზეც მოვიწევს თამაში.

- "დინამო" ხუთშაბათს უეფას თასის გათამაშებას იწყებს. მეტოქეზე რა იცით?

- "ვადუცი"? მწვრთნელებმა ამ გუნდის თამაშის ვიდეოფირი გვაჩვენეს. მეტოქეს კიდევ უფრო კარგად შევისწავლით და მჯერა, ამ ბარიერს გავივლით.

- გოლს თუ გვპირდებით?

- იმედი მაქვს, სწორედ "ვადუცთან" მექნება "დინამოში" დებიუტი. "დინამოს" მაისურა პირველად "გერასთან" ამხანაგურ თამაშში მოვირგე და სამი გოლი გავიტანე. ოფიციალურ დებიუტში ათმაგად მოვინდომებ და ისე როგორ იქნება, ერთი გოლი მაინც რომ ვერ გავიტანო?

- ზემოთ ჟირესი ახსენეთ. მართლა ტოვეებს გაბონის ნაკრებს?

- დიახ, ალბათ ასე იქნება...

- რატომ?

- ჟირესს გაბონის ფეხბურთის ფედერაციამ ჯგუფიდან გასვლა მოსთხოვა. საამისოდ საჭიროა, ბოლო მატჩი სექტემბერში, კოტდივუარს 6:0 მოვუგოთ. ეს კი ძნელი კი არა, თითქმის წარმოუდგენელია. ჟირესს კონტრაქტი უმთავრდება და, როგორც ჩანს, აღარ გაუგრძელებენ.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ჰაინც ჰერმანთან

ფავორიტი დინამოა

ლიხტენშტაინის "ვადუცი" გუშინ გამთენიისას გვეწვია. სასტუმრო "ვარაზში" დაბინავებულ სტუმართა მწვრთნელს სასტუმროში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. ჰაინც ჰერმანი საუბარზე უპრობლემოდ დაგვთანხმდა. საუბარი კი სასტუმროს ჰოლში შედგა...

ჰერმანი "დინამო"-"ვადუცის" წყვილში ფავორიტობას თბილისურ გუნდს ანიჭებს და მეტოქის მისამართით კომპლიმენტებსაც არ იშურებს. საუბრისას ის ერთობ უიმედოდ წარმოჩნდა, "დინამო" "ვადუცზე" გაცილებით ძლიერია. ჰერმანის სიტყვებმა ჩვენი გუნდი არ უნდა მოადუნოს. ლიხტენშტაინელები აქ სასეირნოდ არ იქნებიან ჩამოსულნი.

- ძლიერი მეტოქე გვყავს, "დინამო" ტექნიკური ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მოძრავ გუნდთან მოგვიწევს თამაში. ასეთია ჩემი წარმოდგენა "დინამოზე".

- "დინამო" ვერმანიაში ემზადებოდა და რამდენადაც ვიცი, მეტოქეზე საკმაო ცნობები შეაგროვეთ. თბილისელთა ამხანაგური მატჩების ვიდეოფირებიც კი გინახავთ...

- "დინამოზე" მართლაც შევაგროვეთ ცნობები, მაგრამ მთლიანობაში ჩვენი ინფორმაცია მაინც მწირია. როგორც გითხარით, ინდივიდუალური ტექნიკით გამორჩეული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდთან მოგვიწევს თამაში.

- მაინც არ გვითხარით "დინამოს" რომელი ამხანაგური მატჩი ნახეთ...

- გერმანული შეკრების პირველი ტესტმატჩი ვნახე, არ მახსოვს რომელ გუნდთან, მაგრამ ის კი ვიცი, რომ "დინამომ" ის თამაში 4:1 მოიგო. ეს მოსამზადებელი შეკრება იყო, რომელსაც გუნდის შენებისთვის იყენებენ. ამხანაგური მატჩი იყო და ძნელია რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება. დაცვაში ორი საიმედო მცველია, გუნდს საკმაოდ აქტიური ფლანგის ფეხბურთელები და ჩინებული შემტევი პოტენციალი გააჩნია.

- მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ გაანაწილებდით?

- პროცენტულად ამის თქმა გამიჭირდება, მაგრამ ერთს კი გეტყვით – ჩვენ მომდევნო რაუნდში გასვლის მცირე შანსი გვაქვს.

- ეს კომპლიმენტია თუ მართლა ასე ფიქრობთ?

- მერწმუნეთ, მართლა ასე ვფიქრობ.

- რატომ?

- ვითარებას რეალურად თუ შევხედავთ, ჩვენ შვეიცარიის ჩემპიონატისა მეორე ლიგაში ვასპარეზობთ, "დინამო" კი უმაღლეს ლიგაშია და სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ჩემპიონს მხოლოდ ქულით ჩამორჩა. საქართველოს პირველობა კი შვეიცარიის ჩემპიონატის მეორე ლიგაზე მაღალი დონის უნდა იყოს. გარდა ამისა, "დინამოს" თამაშიც ვნახე და ჩვენზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს.

- თუმცა ბოლო სამი წლის განმავლობაში "ვადუცმა" ევროტურნირებზე პირველი ეტაპი გაიარა. თანაც ლეგიონერები თქვენც არ გაკლიათ...

- კი, მართალია, მაგრამ... ჯერ ერთი ეს წარსულია. მეორეც ჩვენ ახალი გუნდი გვყავს, რომელიც თუნდაც შარშანდელზე უფრო სუსტია. "დინამოსთან" ეს ორი მატჩი ახალი ფეხბურთელების გამოსაცდელად და ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად დიდად წაგვადგება.

- ერთი შეხედვით, "დინამო" და "ვადუცი" ერთნაირი სიტუაციაში არიან. ორივეს მოუწია გასული სეზონის მთავარ მეგოლესთან განშორება. სხვათა შორის, ჩვენი სანდრო იაშვილი და ომარ პაპი ფაია, ახლა ერთ გუნდში, "თუნში" არიან...

- ... (იცინის) ეგრეა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით თუ ვინ შეცვლის ფაიას.

- რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ხომ შეიძინეთ...

- კი, მაგრამ მათ კიდევ ვაკვირდებით. რაც შეეხება ახალ მოთამაშეებს, ესენი არიან, ჩერონე, გროსკლაუსი, ძომბიჩი, სომერი და ბრაზილიელი ალექსანდერ ალვეში.

- ორი ახალგაზრდა კიპერი გყავთ. მთავარ მეკარედ რომელს მიიჩნევთ?

- მთავარი მეკარე შვეიცარიის 21-წლამდელთა ნაკრების კარის დარაჯი, 19 წლის იან სომერია.

- თბილისურ მატჩში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?

- გუნდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ახალი ფეხბურთელები გუნდთან შეთამაშებული არ არიან. ახალგაზრდა მოთამაშეებს კი გამოცდილება აკლიათ. ასე რომ, მთავარია კარგად ვითამაშოთ და დიდი ანგარიშით არ წავაგოთ. თბილისში ფრედ თამაში ჩვენთვის ერთობ რთულ ამოცანად მეჩვენება... ვნახოთ, ყველაფერს ხუთშაბათის მატჩი გვაჩვენებს.

- თბილისში აღრეც ყოფილხართ და ფეხბურთელობის დროს, "გრასჰოპერსის" შემადგენლობაში "დინამოს" ბარიერიც გაგივლიათ. ქართველებთან ნათამაშები ის მატჩები დღეს როგორ გახსენდებათ?

- მაშინ ძლიერი გუნდი გვყავდა. თბილისში 0:1 წავაგეთ, შვეიცარიაში კი დიდი ანგარიშით, 4:0 მოვიგეთ და მომდევნო ეტაპზე გავედით. ახლაც მახსოვს, თბილისის მთავარი სტადიონი სავსე იყო და გულშემატკივრები ერთგულად ქომაგობდნენ "დინამოს".

დავით ცაბაძე

ჰაინც ჰერმანი

დინამო

ოვონო და აკირემი განაცხადშია

თბილისი "დინამო" ხვალ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიხტენშტაინის "ვადუცს" უმასპინძლებს. **დუშან უჰრინის** გუნდში არაერთი ახალი ფეხბურთელია. გაბონის ნაკრების წევრებს, მეკარე **დიდიე ოვონოსა** და ფორვარდ **ჯორჯ აკირემს** "ვადუცთან" თამაშის უფლება უკვე აქვთ. ეს ფეხბურთელები "დინამომ" უეფას განაცხადში შეიყვანა. როგორც გავიგეთ, მალე მათ ჩეხი მცველი **რომან დობეშიც** დაემატება.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, საღამოს 6 საათზე საფეხბურთო კლუბ "ოლიმპიკის" სპორტკომპლექსში ივარჯიშა. მწვრთნელმა **ჰაინც ჰერმანმა** თბილისში 18 ფეხბურთელი ჩამოიყვანა:

მეკარეები: **იან სომერი, გაბრი ვუიტრიხი.**

მცველები: **დირენ აკდემირი, პასკალ ჩერონე, დამირ ძომბიჩი, დანიელ ჰასლერი, ტომას რეინმანი, მარკო რიტცბერგერი, ფლორიან შტურმი.**

ნახევარმცველები: **გილერმო ალასტრა, ალექსანდერ და სილვა ალვეში, იან ლანგლეტი, მიქელე მაგეტი, მიქელე პალველინო, ბრუნო სუტერი, კრისტიან ვიესკორეკი.**

თავდამსხმელები: **ბენჯამინ ფიშერი, გასპარ ოდირლეი დე სოუზა.**

დაბოლოს, დღეს, მიხეილ მესხის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში, 17:30 სთ-ზე "დინამო" გამართავს პრესკონფერენციას ("დინამო"-"ვადუცის" მატჩის აკრედიტაციებიც დარიგდება). 18 საათზე "ვადუცის" ვარჯიშია. 19 საათზე კი დუშან უჰრინის გუნდი ჩაატარებს წვრთნას.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

მარცვალაძეს არსენალი ჩაეშალა

იმედაშვილი დინამოს დაუბრუნდა

როგორც ჩანს **ოთარ მარცვალაძის** კიევის "არსენალში" გადასვლა ფაქტად ნაადრევად გამოვაცხადეთ. გუნდის მეპატრონემ **ვადიმ რაბინოვიჩმა** ძლიერი თავდამსხმელები შეიძინა - ალჩევსკის "სტალიდან" ბრაზილიელი **ჟოზემარი**, დონეცკის "მეტალურგიდან" კი ქართველი **გიორგი დემეტრაძე**. ამას გარდა, "არსენალს" იმხელა ფული გაუჩნდა, "დეპორტივოს" ყოფილი ვარსკვლავის, **დიეგო ტრისტანის** შეძენაც მოინდომა.

ეს ყველაფერი კარგი და ასეთმა სოლიდურმა ტრანსფერებმა ოთარ მარცვალაძის "არსენალში" გადასვლა ჩაშალა. ყოველ შემთხვევაში, ასე იუწყება უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" - მარცვალაძე კიევის "დინამოში" ბრუნდება.

"როგორც ჩანს, ოთარ მარცვალაძეს არ უწერია კიევის "არსენალში" ჩარიცხვა. თავად ფეხბურთელმა გვითხრა, რომ კიევის "დინამოსა" და "არსენალის" მოლაპარაკება ჯერ წარმატებით ვერ დასრულდა. სავსებით შესაძლებელია, დემეტრაძის გადასვლის შემდეგ, "მეთოფეებმა" მარცვალაძე აღარ დაიმატონ", - წერს გაზეთი.

ინფორმაცია თავად მარცვალაძემაც დაგვიდასტურა: "სამწუხაროდ, "არსენალის" ვარიანტი მართლა ჩაიშალა. ერთ კვირაში მეცოდინება, რომელ გუნდში გადავალ. არაა გამორიცხული, სათამაშო პრაქტიკისთვის, სხვა უკრაინულ გუნდში გადავიდე".

როგორც გვითხრეს, კიეველებმა თანაქალაქელ "არსენალს" ქართველი ლეგიონერის ნახევარწლიან იჯარაში 350 ათასი დოლარი მოსთხოვეს, გამოსყიდვაში კი 700 ათასი. რა თქმა უნდა, უთამაშებელ ფეხბურთელში ამხელა ფულს არავინ გადაიხდის და "მეთოფეებმაც" უარი თქვეს. თავად ოთარმა ზოგადად დაგვიდასტურა, რომ "დინამომ" საკამოდ დიდი თანხა მოითხოვა, მაგრამ თანხის დაზუსტება არ ისურვა.

დავით იმედაშვილი კი კიევის "დინამოს" დაუბრუნდა და კიდევ ნახევარი წელიწადი მოუწევს ახალ გუნდზე ფიქრში იძულებით დუბლებში გამოსვლა.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეტაფე

ლაუდრუპმა შუსტერი შეცვალა

ლეგენდარული დანიელი ესპანეთში დაბრუნდა

"ხეტაფეს" ხელმძღვანელობამ "რეალში" წასულ **ბერნდ შუსტერს** სწრაფად უპოვნა შემცვლელი. ესპანეთის თასის ფინალისტს სიუპრიზი არ შემოუთავაზებია - გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა დანიელი **მიქაელ ლაუდრუპი**, რომლის ამ პოსტზე დანიშვნის შესახებ, ბოლო პერიოდში ესპანურ პრესაში ძალიან ბევრი ინერებოდა.

ლეგენდარული ლაუდრუპი თითქმის წელიწადნახევარი იყო უმუშევარი - მან 2006 წლის დასაწყისში დატოვა "ბრონდბიუ". ახლა კი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ხეტაფესთან", რომელსაც ამ სეზონში დებიუტი ელის უეფას თასზე.

"დარწმუნებული ვარ, რომ ევროთასებზე "ხეტაფეს" წარმატება ელის. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფეხბურთელები იმ განწყობით ითამაშებენ, როგორც ამას შარშან აკეთებდნენ", - განაცხადა დანიელმა სპეციალურად მოწყობილ პრეზენტაციაზე და ისიც დაამატა, რომ უეფასა და ესპანეთის თასი მნიშვნელოვანი ტურნირებია, მაგრამ უმთავრესი მიზანი, პრიმერაში წარმატებული თამაში იქნება (შარშან გუნდმა მეცხრე ადგილი დაიკავა ჩემპიონატში).

43 წლის ლაუდრუპი კარგად იცნობს ესპანურ ფეხბურთს. ის "რეალსა" და "ბარსელონაში" ექვსი სეზონის განმავლობაში თამაშობდა. სხვათა შორის, საგულისხმო დამთხვევაა - დანიელის

მიქაელ ლაუდრუპი

წინამორბედი შუსტერი, ასევე "რეალისა" და "ბარსელონას" ფეხბურთელი იყო.

რაც შეეხება მიკაელის სამწვრთნელო კარიერას, ის "ბრონდბიუმდე" დანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **მორტენ ოლსენის** ასისტენტად მუშაობდა. "ხეტაფეს" ახალმა დამრიგებელმა "ბრონდბიუს" ერთხელ დანიის ჩემპიონატი და ორჯერ ქვეყნის თასი მოაგებინა.

მანჩესტერს რივერის მეკარე მოუნდა

"მანჩესტერ იუნაიტედი" "რივერ პლეიტის" 23 წლის მეკარით, **ხუან პაბლო კარისოთი** დაინტერესდა.

"ჩვენ სამი კლუბისგან მივიღეთ ოფიციალური წინადადება. ესენი არიან: "მანჩესტერ იუნაიტედი", "მანჩესტერ სიტი" და "სარაგოსა". ბუნებრივია, ბოლო სიტყვა "რივერ პლეიტს" ეკუთვნის, მაგრამ კარისომ უკვე განაცხადა, რომ ევროპაში სურს კარიერის გაგრძელება", - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა **ხოსე ალბერტიმ**.

პოლიცია ბრიტანული კლუბების წინააღმდეგ

ინგლისურ ფეხბურთში ახალი სკანდალი მწიფდება. როგორც BBC იუწყება, ბრიტანულმა პოლიციამ სამი საფეხბურთო კლუბის ოფისში ჩაატარა ჩხრეკა. ეს კლუბები კორუფციაში მონაწილეობაში არიან ეჭვმიტანილნი. სანდო წყაროს ცნობით, ერთ-ერთი კლუბი, რომლის ოფისშიც ჩხრეკა ჩატარდა, "ნიუკასლი" გახლავთ.

"ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სამი კლუბის ოფისში და კორუფციაში ორი ეჭვმიტანილი ადამიანის ბინებში ჩავატარეთ ჩხრეკა", - განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა, რომელმაც უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის გაცემისგან თავი შეიკავა.

მოგვიანებით, ამ ამბავს შოტლანდიური Scotsman გამოეხმაურა. მისი ინფორმაციით, პოლიციამ "გლაზგო რეინჯერსის" ოფისიც მოინახულა, ხოლო მესამე ეჭვმიტანილი კლუბი "პორტსმუთი" ყოფილა.

"პოლიციამ გამოძიებისას თანამშრომლობა შემოგვთავაზა. აგრეთვე, გვთხოვა, გამოძიების მსვლელობისას არანაირი კომენტარი არ მოგვეთხოვა", - ასეთი იყო "რეინჯერსის" წარმომადგენლის ინფორმაცია.

ლივერპულმა კიელინის დაუმიზნა

"იუვენტუსის" მცველი **ჯორჯო კიელინი** შესაძლოა, "ლივერპულში" გადაბარგდეს.

"იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ ყურადღება წამყვან ფეხბურთელებთან კონტრაქტების გაფორმებაზე გადაიტანა და ეს გასაგებიცაა. მაგრამ ამავდროულად, ისინი არ ფიქრობენ იმ მოთამაშეებზე, რომლებმაც შარშან "იუვენტუსს" სერია A-ში დაბრუნებაში დიდი დახმარება გაუწიეს. მე მგონია, რომ ახალ სეზონში ხშირად თამაში არ მომიწევს და არ ვაპირებ ამას შევურიგდე", - ამბობს კიელინი.

"რამდენიმე საინტერესო წინადადება მაქვს, მაგრამ მანამდე ვიმედოვნებ, რომ ვინმე გამარკვევს შექმნილ სიტუაციაში. აქამდე ეს არავის გაუკეთებია", - ამატებს მცველი.

"ლივერპული" მზადაა, კიელინის სანაცვლოდ 5 მილიონი ფუნტი გადაიხადოს, არადა, "იუვენტუსი" თავის მცველში 7 მილიონის მიღებას ვარაუდობს.

ლაციოს ამელია აღარ უნდა

ერთი პირობა, რომის "ლაციოს" ერთ-ერთ სატრანსფერო პრიორიტეტად "ლივორნოს" მეკარე **მარკო ამელია** ითვლებოდა, მაგრამ ეს ტრანსფერი ალბათ, აღარ შედგება, ვინაიდან რომაელები "რივერ პლეიტის" მეკარით, **ხუან პაბლო კარისოთი** დაინტერესდნენ.

"მარკო ვეღარ გრძნობს "ლაციოს" მხრიდან დაინტერესებას. ჩვენ მართლაც ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოსთან, მაგრამ ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო", - "გაძეტა დელო სპორტს" მოჰყავს ამელიას აგენტის, **კარლო პალავიჩინოს** სიტყვები.

თუმცა, ამელიას სხვა კლუბში კარიერის გაგრძელების კიდევ ერთი ვარიანტი აქვს. ეს არის დონეცკის "შახტიორი".

ნასრიმ ვარჯიშში დაიწყო

"მარსელის" 20 წლის თავდამსხმელმა **სამირ ნასრიმ** მუხლი მოირჩინა და ვარჯიშები განაახლა. ფრანგული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ამ დაზიანების გამო, დაახლოებით ორი კვირა ვერ ვარჯიშობდა.

როგორც "მარსელის" სამედიცინო შტაბი იტყობინება, ნასრი მოასწრებს საფრანგეთის ჩემპიონატის სტარტისთვის სათანადო კონდიციების აკრეფას. ქვეყნის ჩემპიონატი 4 აგვისტოს დაიწყება.

მონტერუბიო ლანსში დარჩა

ვეტერანმა ფრანგმა ფეხბურთელმა **ოლივიე მონტერუბიომ** "ლანსთან" კონტრაქტი 2009 წლის ივნისამდე გააგრძელა.

შეგახსენებთ, რომ მონტერუბიო 2007 წლის იანვარში "ბორდოდან" "ლანსში" გადავიდა. კონტრაქტის გაფორმებით, ფორვარდმა ბოლო მოუღო იმ ჭორებს, რომლის მიხედვითაც მონტერუბიოს სხვა კლუბში უნდა გაეგრძელებინა კარიერა.

ბირმინგემიც იყიდება

ჰონგკონგელმა ბიზნესმენმა **კარსონ იუნგმა** "ბირმინგემის" აქციათა 29.9 პროცენტი შეიძინა.

ITV-ის ცნობით, ეს გარიგება 15 მილიონი ფუნტი დაჯდა. როგორც ირკვევა, იუნგს მომავალში ინგლისური კლუბის აქციათა სრულად შესყიდვა აქვს გადაწყვეტილი.

7300 ევრო ტორესის მაისურში

ის მაისურა, რომლითაც ესპანელი ფორვარდი **ფერნანდო ტორესი** "ლივერპულმა" ჟურნალისტებს წარუდგინა, აუქციონზე 7300 ევროდ გაიყიდა.

ტორესის მაისური ეს ფული ირლანდიელმა ბიზნესმენმა გადაიხადა. როგორც "ლივერპულის" წარმომადგენლები აცხადებენ, მიღებული თანხა საქველმოქმედო მიზნებისთვის დაიხარჯება.

ფაულერს ლესტერი ეპატიჟება

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "ლივერპულის" ექს-ფორვარდი **რობი ფაულერი** ავსტრალიაში იმყოფება და იქ "სიდნეისთან" ანარმოებს მოლაპარაკებებს.

ინგლისის ნაკრების ყოფილი წევრის მომავალი კარიერა ჯერაც გაურკვეველია. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მას ინგლისიდან გამგზავრება არ მოუწიოს და "ლესტერში" გააგრძელოს თამაში.

"შეტევაში აუცილებლად უნდა განვახორციელოთ ცვლილებები. ფაულერთან მოლაპარაკებების დაწყებას ვაპირებთ და იმედი გვაქვს, რომ ის წარმატებით დასრულდება. რობის შეუძლია, "ლესტერის" თავდასხმის გაძლიერება," - აცხადებს "ლესტერის" მფლობელი **მილან მანდარიჩი**.

ფაბიო კანავარო

როგორც ჩანს, **ფაბიო კანავარო** "რეალში" ისე კომფორტულად ვეღარ გრძნობს თავს, როგორც **ფაბიო კაპელოს** მწვრთნელობის დროს. გუშინ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელმა "ლა გაძეტა დელო სპორტს" ინტერვიუ მისცა და საზოგადოების წინაშე შეძლებისდაგვარად გულწრფელად წარდგა: *"არ დაგიმალავთ და პირდაპირ მოგახსენებთ, რომ იტალია ძალიან მომენატრა. საოცარ ნოსტალგიას ვგრძნობ. თავისუფალ დროს ყოველთვის ვცდილობ, რამდენიმე დღე მაინც გამოვნახო იმისთვის, რომ სამშობლოში ჩავიდე, თუმცა ამით "კალჩოს" მონატრებას, რა თქმა უნდა, ვერ ვიკმაყოფილებ. ასევე წრფელი სინდისით გეტყვით, რომ მადრიდის "რეალს" საკადრისად ვთამაშებ. ჩემი აზრით, "რეალი" პლანეტის ყველაზე დიდი გუნდია, მაგრამ თუ "იუვენტუსის" შემოთავაზებას მივიღებ, სერიოზულად დავფიქრდები. ჩემთვის იტალია მაინც იტალიაა. მომენატრა ჩვენებური ფეხბურთი, სერია A-ს ინტრიგა, დაძაბულობა, სპეციფიკა. იმ შემთხვევაში, თუ "ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელებს თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდებათ, პირველ რიგში, მადრიდელ კოლეგებს უნდა დაელაპარაკონ. სამეფო კლუბის ზურგს უკან არ ვიმოქმედებ. რაც არ უნდა იყოს, პრეზიდენტი ჩემთან მიმართებაში ყოველთვის სამართლიანი გახლდათ."*

"რეალისა" და "იუვენტუსის" მესვეურებს კანავაროს ინტერვიუზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ, თუმცა ცნობილია, რომ **პრედრაგ მიატოვიჩი პეპეს** და **მეტცელდერის** მოსვლის შემდეგ იტალიელი მცველის გაყიდვაზე სერიოზულად დაფიქრდა. ჯერჯერობით, მას **ბერნდ შუსტერი** ეწინააღმდეგება, მაგრამ ფაბიოს მიერ გამოთქმული სურვილის შემდეგ, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს.

რეალი

კანავარო: იუვეში სიამოვნებით დავბრუნდებოდი

პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელს კალდერონი ყოველთვის კარგად ეპყრობოდა, მაგრამ მას მაინც იტალია ენატრება

გუნდის ლიდერი ფაბიო კანავარო ბოლო პერიოდში ხშირად ახსენებს იტალიურ კლუბებს, რომლებიც მას მოსალოდნელ ტრანსფერზე ფიქრობენ. ამ ინფორმაციის ფონზე, ესპანური "მარკა" ცდილობს, გაარკვიოს, ნამდვილად სურს თუ არა ფაბიოს "იუვენტუსში" დაბრუნება.

ესპანური გამოცემის ინფორმაციით, კანავარო ნამდვილად ფიქრობს იტალიაში დაბრუნებაზე, მაგრამ ამ ეტაპზე ის "რეალის" ფორმით ითამაშებს. ფაბიოს ამ გადაწყვეტილებაზე ორი ფაქტორი მოქმედებს. პირველი, ის, რომ ფაბიო ფიქრობს, რომ "რეალის" ფორმით ითამაშებს და მეორე, ის, რომ ფაბიოს ოჯახი ესპანეთში ცხოვრობს და ის არ აპირებს მათ ტრანსფერის გამო ტანჯვა აწიოს.

"მარკა" ასევე ცდილობს, გაარკვიოს, რა ურთიერთობა აკავშირებს ფაბიოს და "რეალის" მთავარ მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს**. ესპანური გამოცემის ინფორმაციით, ფაბიო კაპელოს ყოველთვის ძალიან კარგად ეპყრობოდა კანავაროს, მაგრამ ეს ურთიერთობა ბოლო პერიოდში ცოტა გაფუჭდა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ კაპელომ ფაბიოს ბოლო ორ მატჩში სათადარიგოდ დატოვა.

ესპანური გამოცემის ინფორმაციით, ფაბიო კანავარო ფიქრობს, რომ ის ბოლო ორ მატჩში სათადარიგოდ დატოვეს, რადგან ის ბოლო პერიოდში ცოტა ცუდად თამაშობდა. ფაბიოს აზრით, ის ბოლო პერიოდში ცუდად არ თამაშობდა და ამიტომ ის ვერ ხვდება, თუ რატომ დატოვეს სათადარიგოდ.

ესპანური გამოცემის ინფორმაციით, ფაბიო კანავარო ფიქრობს, რომ ის ბოლო ორ მატჩში სათადარიგოდ დატოვეს, რადგან ის ბოლო პერიოდში ცოტა ცუდად თამაშობდა. ფაბიოს აზრით, ის ბოლო პერიოდში ცუდად არ თამაშობდა და ამიტომ ის ვერ ხვდება, თუ რატომ დატოვეს სათადარიგოდ.

გუნდესლიგა

გერმანია რეკორდს უმიზნებს

დორტმუნდმა დასწრების მხრივ, შესაძლოა, მანჩესტერსაც აჯობოს!

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, გერმანიაში ფეხბურთისადმი ინტერესი გაიზარდა. მართალია, ბუნდესლიგაში მუნდიალამდეც საუკეთესო დასწრება იყო, მაგრამ ფაქტია, რომ შარშანდელი ზაფხულის შემდეგ, ფანების აქტივობამ კიდევ მოიმატა, რამაც კლუბების ბოსებს იმის საშუალება მისცა, რომ ბილეთების ფასები გაეზარდათ. გერმანიის საფეხბურთო კავშირში დარწმუნებულები არიან, რომ მომავალ სეზონში ამ მხრივ ახალი რეკორდი დამყარდება და ბუნდესლიგის დაარსების შემდეგ სტადიონებზე მისული ქომაგების რაოდენობა 350 მილიონს მიაღწევს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მომავალ სეზონში სტადიონებზე მინიმუმ 11 194 949 მაყურებელი მივა. თუ ამ რაოდენობას 18 გუნდზე გადავანაწილებთ (საშუალოდ 36 806 ფანი), 34-ე ტურის შემდეგ ახალი რეკორდიც დამყარდება.

წინდანინვე ცნობილია, რომ მომავალ სეზონში ყველაზე მეტი მაყურებელი ისევ დორტმუნდის "ბორუსიის" საშინაო მატჩებს ეყოლება. BVB-ს ხელმძღვანელები საშუალოდ ერთ თამაშში მინიმუმ 74 000 ქომაგს ელიან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან "ვესტფალენშტადიონზე" შესასვლელი ბილეთები და აბონემენტები, როგორც ყოველთვის, ელვის სისწრაფით იყიდება. ამ დროისთვის "ბორუსიამ" უკვე 50 000 აბონემენტი გაყიდა! *"მართალია, დორტმუნდელი ფანები ყოველთვის ყველაზე ერთგულები და აქტიურები იყვნენ, მაგრამ ასეთი ბუმი არასდროს ყოფილა. ამას ალბათ ის ახსნა აქვს, რომ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი შეიძინეთ და მომავალი სეზონისთვის აშკარად ძალიან კარგი გუნდი გვეყოლება,"* - ამბობს BVB-ს გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**. თუკი საქმე უკეთესად წავა და გუნდი წარმატებული იქნება, დიდი შანსია, რომ ამ მხრივ "დორტმუნდმა" თვით "მანჩესტერ იუნაიტედსაც" კი აჯობოს. როგორც იცით, ევროპის მასშტაბით ყველაზე მეტი მაყურებელი სწორედ "მენიუს" საშინაო მატჩებს ესწრება ხოლმე - საშუალოდ მატჩში 75 900.

ტრადიციულად, მუდმივად სავსე იქნება მიუნხენის "ალიანს არენაც", მით უმეტეს, რომ ამ გუნდის ქომაგებს უდიდესი იმედები აქვთ იმის გამო, რომ რეკორდმაისტერმა სატრანსფერო ბაზარზე ფურორი მოახდინა. წინასწარი გამოთვლებით, "ალიანს არენაზე" საშუალოდ ერთ შეხვედრაში 60 000 მაყურებელი უნდა მივიდეს, მაგრამ მენეჯერი **ული ჰოინესი** დარწმუნებულია, რომ ეს არენა ყველა თამაშში პირთამდე სავსე იქნება. წინასწარი გამოთვლები არ ჩაუტარებიათ "შალკეს" ბოსებს, რადგან "ფელტინს არენა აუფ შალკე" ისედაც ყველა შეხვედრაში ივსება ხოლმე (61 482 მაყურებელი). "შალკემ" ამ დროისთვის უკვე 43 190 აბონემენტი გაყიდა.

სამაგიეროდ, ბუნდესლიგის დასწრებას ძალიან დაეტყობა მიონხენგლადბახის "ბორუსიის" არყოფნა, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში გავარდა. მიუხედავად იმისა, რომ "გლადბახი" უსუსტესი გუნდი იყო და ბოლო ადგილზე გავიდა, გასულ სეზონში ამ ისტორიული გუნდის საშინაო მატჩებს მაინც უამრავი ქომაგი ესწრებოდა - "ბორუსია პარკს" საშუალოდ ერთ თამაშში 47 488 მაყურებელი სტუმრობდა. ელიტაში კი, მოგეხსენებათ, "კარლსრუე", "დუისბურგი" და ჰანზა აღზევდნენ. პირველი მათგანის არენა მხოლოდ 25 000 მაყურებელს იტევს, მეორისა 22 000-ს, მესამისა კი 20 000-ს.

ბუნდესლიგური კლუბებიდან ყველაზე არაკომფორტული და ასე ვთქვათ, ცუდი სტადიონი "კოტბუსს" აქვს, რომელიც 20 000 მაყურებელს იტევს. თანაც, არენა "ფროინდშაფტი" გასულ სეზონში, მხოლოდ და მხოლოდ, 2-ჯერ გაივსო (!). ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ მომდევნო სეზონში თითოეულ საშინაო შეხვედრას საშუალოდ 16 000 ქომაგი ადევნებს თვალს. თანაც, "კოტბუსის" ბოსებმა "ფროინდშაფტზე" კომფორტი ოდნავ გააუმჯობესეს და სადგომი ადგილები გადახურეს (!)...

ინტერვიუ ოლივერ კანთან

ბაიერნი ვალდებულია, წარმატებას მიაღწიოს!

ოლიმ ტონიში და რიბერიში არა მხოლოდ კარგი ფეხბურთელები, არამედ კარგი ადამიანებიც დაინახა...

531 მატჩი ბუნდესლიგაში - ოლივერ კანი უკანასკნელი სეზონისთვის ემზადება. მართალია, ამბობს, გამორიცხული არაფერია და მათ შორის არც ის, რომ კარიერა კიდევ ერთი წლით გავაგრძელოო, მაგრამ იმასაც ამატებს, რომ ეს მხოლოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევის "ბრალი" იქნება. ოლი არ ნაღვლობს იმის გამო, რომ ბოლო სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს ველარ მოისმენს. რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუ რა განწყობით ხვდება რეკორდმაისტერის კაპიტანი თავის უკანასკნელ სეზონს და რას ფიქრობს ის "ბაიერნის" მიერ გატარებულ სატრანსფერო პოლიტიკაზე. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გამოცემა "ველტმა" გამოაქვეყნა.

- ჰერ კან, ახალი სეზონისთვის უკანასკნელად ემზადებით. ეს თქვენთვის ერთ-ერთი ბოლო შეკრებაა...

- ფეხბურთში გამორიცხული არაფერია. შესაბამისად, ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ფეხბურთი 40 წლამდე ვითამაშო.

- ეს როგორ?

- თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარიერას გაისად დავასრულებ, მაგრამ, როგორც გითხარით, გამორიცხული არაფერია.

- შეკრებაზე ყოფნა ყოველთვის გსიამოვნებდათ?

- საერთო ჯამში, ასეთი შეკრებები ყოველთვის მონოტონური და მოსაბეზრებელია. კარგი ის გახლავთ, რომ ასეთ დროს ყოველდღიურობას შორდები და ძალიან მშვიდად ხარ. მოკლედ, მოსაბეზრებელი კი არის, მაგრამ შეკრება ყოველთვის საჭიროა. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ახალ სეზონს კარგად მომზადებული შეხვდე.

- რომელი ნივთები მიგაქვთ ხოლმე შეკრებაზე?

- ლეპტოპი, აიპოდი და წიგნები - ეს ის ნივთებია, რასაც ვერ შეველევი. ისე, რამდენი რამ შეიცვალა - მაგალითად, როცა კარიერას ვიწყებდი, ფეხბურთელებს შეკრებაზე მხოლოდ წიგნები და ვოლქმენები მიჰქონდათ. ახლა კი მუდმივად ორი დიდი ჩანთა აქვთ - ერთში სპორტული ტანსაცმელია, მეორეში კი ტექნიკა.

- დონაუეშინგენში რომელი წიგნი წამოიღეთ?

- ამჯერად წიგნები არ წამომიღია, რადგან საკუთარს ვწერ და ამისთვის დრო და სიმშვიდე მჭირდება. წიგნის წერა რამდენიმე თვის წინათ დავიწყე და სხვათა შორის, პირველი გვერდისთვის ხუთ საათზე მეტი დამჭირდა. ახლა კი საქმე შესაწინაშეავად მიდის - ერთ გვერდს მხოლოდ 10 წუთს ვანდომებ ხოლმე.

- რაზე წერთ?

- მოკლედ რომ გიპასუხოთ, აბსოლუტურად ყველაფერზე, რაც თავში მომივა და გამახსენდება. კონკრეტულად კი ჩემს შინაგან განწყობაზე, რას და როგორ ვფიქრობდი სხვადასხვა დროს. ვწერ იმაზეც, თუ რა სჭირდება ნამდვილ მებრძოლს იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიოს. აღვწერ იმ მექანიზმებს, რამაც ამ სიმაღლემდე მომიყვანა. გარდა ამისა, წიგნის წერა იმის საშუალებას მაძლევს, რომ ყველაფერი კიდევ ერთხელ გადავაფასო და ყველაფერზე დავფიქრდე. თანაც, წერა განტვირთვის შესანიშნავი საშუალებაა.

- სათაური მოფიქრებული გაქვთ?

- დიახ: თითქმის გადაწყვეტილია, რომ წიგნის სათაური "კანის პრინციპი" იქნება.

- რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეკრება ახალი ფეხბურთელებისთვის?

- ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დღესდღეობით უფრო ბევრი მენტალიტეტის შერწყმა ხდება, ვიდრე ადრე. თავად განსაჯეთ, ერთმანეთს 10, 12 ან შესაძლოა 15 ისეთი ფეხბურთელი ხვდება, რომლებსაც ერთმანეთისგან განსხვავებული მენტალიტეტი აქვთ და სხვადასხვა კულტურას წარმოადგენენ. სხვათა შორის, კარგ ფეხბურთელს და ადამიანს სხვებთან ადაპტაცია არასდროს გაუჭირდება - ეს აქსიომაა. ჩვენთან კი მართლაც ძალიან კარგი ადამიანები გადმოვიდნენ...

- როგორი შთაბეჭდილება მოახდინეს თქვენზე მიროსლავ კლოზემ, ლუკა ტონიმ და ფრანკ რიბერიმ?

- რაც მთავარია, სამივე გულღია პიროვნებაა. მაგრამ აქ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი: პირველ დღეებში ყოველთვის ყველაფერი იდეალურად არის ხოლმე. მთავარია, რა იქნება სეზონის დაწყების შემდეგ, როცა პასუხისმგებლობის სიმძიმე უფრო აშკარა გახდება. აი, მაშინაც თუ ასეთი შესანიშნავი ატმოსფერო იქნება, ვიტყვი, რომ ყველაფერი იდეალურადაა. თანაც, გასული სეზონის ჩაგდების შემდეგ, "ბაიერნი" ვალდებულია, წარმატებას მიაღწიოს.

- ამ მხრივ თქვენ უმთავრესი როლი გაკისრიათ, რადგან ჯერ ერთი, ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი ხართ და ესეც არ იყოს, კაპიტნის სამკლაურს ატარებთ...

- ჰო, კაპიტანი ყოველთვის ნომერ პირველი ინტეგრატორია. ჩემი მოვალეობაა, ახალწვეულებს ხშირად ვესაუბრო და ბევრი რამ ავუხსნა. ახლა ყველაზე მეტად იან შლაუდრაფის ამბავი მაღელვებს, რადგან ტრავმირებული ფეხბურთელის ისეთ გუნდში სრულფასოვნად ინტეგრირება, როგორიც "ბაიერნია", ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

- ბასტიან შვაინშტაიგერსა და ლუკას პოდოლსკის თუ ესაუბრებით ხოლმე?

- შვაინისთან ბევრი ლაპარაკი საჭირო სულაც არ არის. ბასტიანი ისეთი ტიპია, რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად იცის, რაც ელოდება და რაც უნდა მოიმოქმედოს. "ბაიერნში" თავისი ადგილის პოვნა ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყოველთვის უჭირდათ ხოლმე. შარშან შვაინი ერთ-ერთი ლიდერი იყო, თუმცა ფაქტია, რომ ამხელა პასუხისმგებლობის მისთვის დაკისრება ნაადრევი აღმოჩნდა. წლეულს კი კონკურენცია გაიზარდა და დიდი ბრძოლა დასჭირდება იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს. და თუ ამას ვერ მოახერხებს, მერე კიდევ უფრო მაგრად გაუჭირდება. რას ვიზამთ, ეს "ბაიერნია". კარგი ის არის, რომ თუ ახლა მოახერხა ამ ომის მოგება, მერე უკვე ყველაფერი ძალიან იოლი იქნება მისთვის. საშიში კი ის გახლავთ, რომ ასეთ დროს ორი ვარიანტია: მოვიდა დრო, რომ ან ძალიან ზემოთ ახვიდე, ანაც ქვესკნელისკენ აიღო გეზი.

- და პოდოლსკი?

- პოლდიზეც იგივეს ვიტყოდი, მისი მდგომარეობაც ასეთივეა. ლუკასის ხელის შემშლელი ფაქტორი ის გახლავთ, რომ ის ყველგან ვარსკვლავი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ გამოუცდელი ფეხბურთელია. "კიოლნსა" და გერმანიის ნაკრებში სუპერვარსკვლავი გახლდათ და შესაბამისად, ფიქრობდა, რომ "ბაიერნშიც" ძალიან მალე და იოლად გაიბრწყინავდა. აქ კი შეცდა - "ბაიერნი" სულ სხვა განზომილებაა, აქ ყველაფერი ძალიან ძნელია.

- რომელი ფეხბურთელი შეიძლება გახდეს "ბაიერნის" აღმოჩენა მომავალ სეზონში?

- პირველ რიგში, ჰამით ალთინთოფი მახსენდება. დიდი შანსია, რომ ეს ბიჭი "ბაიერნისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გახდეს. მაგალითად, ისეთი, როგორიც ჰასან სალიჰამიჯიჩი იყო. მე მის თვალებში ზუსტად ისეთივე ცეცხლს ვხედავ, როგორსაც ბრაცო აფრქვევდა. თანაც, ჰამითსაც უძლიერესი დარტყმა აქვს და რაც მთავარია, ძალიან შრომისმოყვარეა.

- მეკარე ხართ და ნუთუ, ერთი უმაღლესი კლასის მცველის შეძენა არ ინატრეთ?

- დაცვაში პრობლემები იმის გამო ნამდვილად არ გვქონია, რომ ცუდი მცველები გვყავს. მთელი გუნდი სცოდავდა და დაცვის ხაზი ასე სუსტად ამიტომაც გამოიყურებოდა.

- ჰიტცფელდი ძალიან გამკაცრდა და ეს აშკარაა...

- ოტმარს აქვს ის, რაც მწვრთნელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და რასაც ბევრი მწვრთნელი ნატრულობს: ბუნებრივი ავტორიტეტი. და რაც მთავარია, მან იცის, რა დროს რა უნდა მოიმოქმედოს.

- "ბაიერნმა" 1996 წელსაც ე.წ. დრიმთიმი შექმნა...

- მაგრამ მაშინ ამ ნაბიჯმა არ გაამართლა. მაშინაც შესანიშნავი ფეხბურთელები გვყავდა, რეკორდმაისტერი მაშინაც უამრავი განსხვავებული მენტალიტეტის მქონე არაჩვეულებრივი ფეხბურთელების ერთობლიობას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ის გუნდი ერთ მუშტად ვერ შეიკრა. მართალია, უეფას თასი მოვიგეთ, მაგრამ ბუნდესლიგაში სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. ერთადერთი პრობლემა, რაც შეიძლება მომავალ სეზონში გვქონდეს, ის გახლავთ, რომ ვარსკვლავებმა ერთმანეთს ვერ გაუგონ და ვერ შეთამაშდნენ.

მაგრამ მიხარია, რომ ჩვენი მწვრთნელი ჰიტცფელდია. ვინ უნდა შეძლოს ამ გუნდის შეთამაშება, თუ არა ოტმარმა?

- გუნდში დაძაბულობა ხომ არ იგრძნობა?

- ყოველ წუთსა და ყოველ წამს იგრძნობა, რომ აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა, ვიდრე ორი თვის წინათ. არცერთ ფეხბურთელს არაფრის გარანტია აღარ აქვს. შესაბამისად, ყველა ვალდებულია, რომ ვარჯიშზე ბოლომდე დაიხარჯოს. დიახ, დაძაბულობა ნამდვილად იგრძნობა და ეს ძალიან კარგია. თუ დაძაბული არ ხარ, საქმეს კარგად ვერ გააკეთებ.

- ხომ არ ნანობთ იმას, რომ "ბაიერნმა" მხოლოდ ახლა გადაწყვიტა ფულის დახარჯვა - მაშინ, როცა აქტიურ სპორტულ კარიერაში მხოლოდ ერთი სეზონიღა დაგრჩათ და ჩემპიონთა ლიგის მეორედ მოგებას ველარ მოახერხებთ...

- არა, ამას ნამდვილად არ ვნანობ! შესანიშნავი შანსი მეძლევა, რომ "ბაიერნის" გულშემატკივრებს ტიტულებით გამოვეთხოვო.

- შეფები ადრე ასეთი ტრანსფერების განხორციელებისგან თავს იკავებდნენ. რატომ?

- ფულის დახარჯვა და ძირეული საკადრო ცვლილებების განხორციელება ყოველთვის დიდ რისკთანაა დაკავშირებული. თანაც, არა მხოლოდ "ბაიერნი", ამ მხრივ მთლიანად ბუნდესლიგა ერთობ ინერტულია.

- ხელმძღვანელებს ასეთი პოლიტიკა ორი-სამი წლის წინათ რომ გაეტარებინათ, განა, გუნდი უფრო წარმატებული არ იქნებოდა?

- სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ ბოსებთან სწორედ ამ თემაზე მქონდა დისკუსია. წინასწარ არავინ იცის, რა და როგორ იქნება. შესაბამისად, ვერც იმას ვიტყვით, რომ სამი წლის წინათ ასე და ასე რომ მოვქცეულიყავით, ყველაფერი უკეთესად იქნებოდა. შესაძლოა, ის, რაც დღეს იდეალურად ჩანს, რამდენიმე თვეში საშინელება აღმოჩნდეს.

- ისეთი გრძნობა გვაქვს, რომ ერთ, საიდუმლო კარს მაინც ღიას ტოვებთ და არ გამოვრიცხავთ, რომ კარიერა კიდევ გააგრძელოთ. ასეა?

- როგორც თავიდანვე გითხარით, ფეხბურთში გამორიცხული არაფერია. ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება მყარად მაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება.

- თქვენი კარიერის იდეალური დასასრული როგორ წარმოგიდგენიათ?

- გერმანიის ჩემპიონობა, უეფას თასი და ჩემი წიგნის გამოცემა. აი, ეს იქნებოდა იდეალური დასასრული.

გოტფრიდ ლენცი

ბრიჯჩის სამთვიანი იძულებითი შვებულება

ერთიანი ბიბლიოთეკა

"ჩელსის" მცველი **უეინ ბრიჯჩი** დაახლოებით სამი თვე ვერ შეძლებს თამაშს. ექიმებმა ფეხბურთელის ტრავმირებული ბარძაყი გამოიკვლიეს და დაასკვნეს, რომ ქირურგიული ჩარევაა საჭირო.

"ვარჯიშებზე ტკივილს თითქმის არ ვგრძნობდი, მაგრამ ექიმები ირწმუნებიან, რომ ტრავმა ბოლომდე მორჩენილი არ არის და მისი გამიზეზების დიდი რისკი არსებობს", - განუცხადა "სანს" ბრიჯჩმა.

ბუნებრივია, ეს ახალი ამბავი ყველაზე მეტად "ჩელსის" მთავარ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს** არ ესიამოვნა, ვინაიდან ტრავმირებულია ლონდონელთა კიდევ ერთი განაპირა მცველი, **ეშლი კოული**. ასე რომ, სანამ ბრიჯჩი და კოული გამოჯანმრთელდებიან, დაცვის მარცხენა ფლანგის გამაგრება "ჩელსის" ახალწვეულ **ტალ ბენ ჰაიმს** მოუწევს.

ლუცერნში სლოვენიელი ჩაირიცხა

შვეიცარიის ჩემპიონატის დაწყებიდან ერთი დღით ადრე, "ლუცერნმა" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა სლოვენიის ნაკრების მცველ **ფაბიან ციპოტთან**.

30 წლის ფეხბურთელი შარშან "მარიბორის" რიგებში თამაშობდა. მას სლოვენიის ნაკრების შემადგენლობაში 22 მატჩი აქვს ჩატარებული.

სიტის პეტროვიც მოუნდა

მთავარ მწვრთნელად **სვენ-გორან ერიქსონის** დანიშვნის შემდეგ, სატრანსფერო ბაზარზე ძალიან გააქტიურდა "მანჩესტერ სიტი". გუშინ ვწერდით იმის შესახებ, რომ ინგლისური კლუბი "ბარსელონას" **ლუდოვიკ ჟიულისა** და **მოტას** ტრანსფერების თაობაზე დაუკავშირდა.

ახლა კი ირკვევა, რომ "სიტის" ხელმძღვანელობა მადრიდის "ატლეტიკოსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს ბულგარელი **მარტინ პეტროვის** შეძენის თაობაზე.

შარშან, 28 წლის ნახევარმცველი იშვიათად ხვდებოდა "ატლეტიკოს" შემადგენლობაში - პეტროვმა ესპანეთის ჩემპიონატში 13 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

კაპელო ამერიკიდან დაინტერესებას აღასტურებს

არ არის გამორიცხული, რომ "რეალიდან" დათხოვნილი **ფაბიო კაპელო** ერთ-ერთ ამერიკულ გუნდს ჩაუდგეს სათავეში. იტალიელმა მწვრთნელმა ეს ინფორმაცია "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში გაახმოვანა.

"ჯერჯერობით, არ ვჩქარობ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, - განაცხადა კაპელომ, რომელმაც არ დააკონკრეტა მისით დაინტერესებული ამერიკული კლუბის სახელი. - *თუ ამ წინადადებას დავთანხმდები, ამას ფულის გამო კი არ გავაკეთებ, არამედ ახალი ცხოვრებისეული გამოცდილების მისაღებად. გაგიმხელთ იმასაც, რომ კიევის "დინამოდან" და მოსკოვის "ლოკომოტივიდან" მქონდა მიწვევები, მაგრამ მათ უარი განვუცხადე".*

მანჩესტერი პაინცეს უშვებს

არ წყდება ცნობები არგენტინის ნაკრების მცველ **გაბრიელ ჰაინცეს** შესახებ. ბოლო ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედმა" ჰაინცეს სხვა კლუბში გადასვლის ნება დართო.

მაგრამ არგენტინელის ტრანსფერი იმ შემთხვევაში შედგება, თუ ამ მცველით დაინტერესებული "ლივერპული" 6 მილიონ ფუნტს გადაიხდის.

ასე რომ, არ დადასტურდა მერსისაიდელთა მთავარი მწვრთნელის, **რაფა ბენიტესის** შიში იმის თაობაზე, რომ "მანჩესტერი" ჰაინცეს არ დათმობდა. ახლა საბოლოო სიტყვა "ლივერპულის" ხელმძღვანელობას ეკუთვნის.

ბექჰემის დებიუტს საფრთხე დაემუქრა

შაბათს, ლოს ანჯელესში ძალიან საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართება - ადგილობრივი "ლოს ანჯელეს გელაქსი" ლონდონის "ჩელსის" ხვდება. ამ შეხვედრისადმი ინტერესი იმით არის გამოწვეული, რომ ამერიკული გუნდის რიგებში უნდა შედგეს **დევიდ ბექჰემის** დებიუტი.

მაგრამ, შესაძლოა ინგლისელი ნახევარმცველის დებიუტი გადაიდოს. მას კვლავინდებურად აწუხებს ფეხის ტრავმა, რომელიც ივნისში, ინგლისის ნაკრებში თამაშისას მიიღო. ამჟამად დევიდი ინდივიდუალური პროგრამით ემზადება "ჩელსისთან" მატჩისთვის.

თავად ბექჰემს ძალიან უნდა შაბათს თამაში, მაგრამ "გელაქსის" ხელმძღვანელობა გარისკვას არ აპირებს და ინგლისელს მოურჩენელი ტრავმით მოედანზე არ გაუშვებს.

კროიცი აინტრახტში გაღავიდა

ფრანკფურტის "აინტრახტმა" მომავალი სეზონისთვის გერმანელი თავდამსხმელი **მარკუს კროიცი** დაიმატა. ეს ფეხბურთელი შარშან გერმანიის ერთ-ერთი დაბალი ლიგის გუნდში თამაშობდა.

კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე კროიცი ესპანეთის "შურსიას" წევრი იყო.

გალიანის ხუთი რჩეული

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** ინტერვიუ მისცა საგენტო "როიტერს", სადაც თავისი გუნდის სატრანსფერო პრიორიტეტებზე მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა. გალიანიმ დაასახელა ის ხუთი ფეხბურთელი, რომელთაგანაც მინიმუმ ერთი აუცილებლად შეავსებს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვების რიგებს.

"რონალდინიო, ანდრეი შევჩენკო, დიდიე დროგბა, სამუელ ეტო'ო და პატო - ასე გამოიყურება ჩვენს მიერ შედგენილი სია. ამათგან ერთ-ერთი ფეხბურთელი "მილანში" ჩაირიცხება", - აცხადებს გალიანი.

რომა კაპათი შეიმოსება

მომავალ სეზონში "რომას" ახალი სათამაშო ფორმა ექნება. იტალიურმა გუნდმა სასპონსორო კონტრაქტი გააფორმა კომპანია "კაპასთან".

როგორც იტალიური პრესა იტყობინება, ხელშეკრულება სამწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს და ის რომაულ კლუბს 14.1 მილიონ ევროს მოუტანს.

ასე რომ, ახალი სეზონიდან "რომა" არა "დიადორას", არამედ "კაპას" ფორმებით ითამაშებს.

ჰოლანდია. ერედივიზიონი 2007-08. კალენდარი

I ტური

17 აგვისტო. პარასკევი

ჰერენვეენი-ვილემი

18 აგვისტო. შაბათი

ალკმაარი-ვენლო
გრედა-გრონინგენი
ეძსელსიორი-ტვენტე
ნიიმეგენი-როდა

19 აგვისტო. კვირა

ჰერაკლესი-ეინდჰოვენი
გრაააფსხაპი-აიაძსი
უტრეხტი-ფეიენოორდი
სპარტა-ვიტესი

II ტური

24 აგვისტო. პარასკევი

როდა-ჰერაკლესი

25 აგვისტო. შაბათი

ვილემი-სპარტა
ეინდჰოვენი-ნიიმეგენი
ვენლო-ეძსელსიორი

26 აგვისტო. კვირა

ტვენტე-უტრეხტი
აიაძსი-ჰერენვეენი
ვიტესი-ალკმაარი
გრონინგენი-გრაააფსხაპი
ფეიენოორდი-გრედა

III ტური

31 აგვისტო. პარასკევი

ალკმაარი-ეძსელსიორი

1 სექტემბერი. შაბათი

ტვენტე-ეინდჰოვენი
ჰერენვეენი-სპარტა
ფეიენოორდი-ვილემი
გრედა-ჰერაკლესი

2 სექტემბერი. კვირა

უტრეხტი-გრაააფსხაპი
აიაძსი-გრონინგენი
ვიტესი-ნიიმეგენი
ვენლო-როდა

IV ტური

14 სექტემბერი. პარასკევი

გრონინგენი-უტრეხტი

15 სექტემბერი. შაბათი

ეძსელსიორი-ჰერენვეენი
ჰერაკლესი-აიაძსი
გრაააფსხაპი-ვენლო
ეინდჰოვენი-ვიტესი

16 სექტემბერი. კვირა

სპარტა-ალკმაარი
ვილემი-ტვენტე
ნიიმეგენი-გრედა
როდა-ფეიენოორდი

V ტური

21 სექტემბერი. პარასკევი

ვენლო-გრედა

22 სექტემბერი. შაბათი

სპარტა-ჰერაკლესი
ვილემი-როდა
ვიტესი-გრაააფსხაპი

23 სექტემბერი. კვირა

ეინდჰოვენი-ფეიენოორდი
ეძსელსიორი-გრონინგენი
ჰერენვეენი-უტრეხტი
ალკმაარი-აიაძსი
ტვენტე-ნიიმეგენი

VI ტური

29 სექტემბერი. შაბათი

ფეიენოორდი-ჰერენვეენი
გრედა-ეინდჰოვენი
ნიიმეგენი-ვილემი
როდა-ეძსელსიორი

30 სექტემბერი. კვირა

აიაძსი-ვენლო
ჰერაკლესი-ალკმაარი
გრაააფსხაპი-ტვენტე
გრონინგენი-სპარტა
უტრეხტი-ვიტესი

VII ტური

5 ოქტომბერი. პარასკევი

ვენლო-უტრეხტი

6 ოქტომბერი. შაბათი

ეძსელსიორი-ნიიმეგენი
გრედა-გრაააფსხაპი
ეინდჰოვენი-ვილემი

7 ოქტომბერი. კვირა

ჰერენვეენი-ჰერაკლესი
სპარტა-აიაძსი
ალკმაარი-გრონინგენი
ტვენტე-როდა
ვიტესი-ფეიენოორდი

VIII ტური

19 ოქტომბერი. პარასკევი

გრაააფსხაპი-სპარტა

20 ოქტომბერი. შაბათი

ფეიენოორდი-ეძსელსიორი
აიაძსი-ნიიმეგენი
ეინდჰოვენი-ვენლო
ჰერაკლესი-ვიტესი

21 ოქტომბერი. კვირა

როდა-უტრეხტი
გრონინგენი-ტვენტე
ალკმაარი-ჰერენვეენი
ვილემი-გრედა

IX ტური

26 ოქტომბერი. პარასკევი

ვიტესი-ვილემი

27 ოქტომბერი. შაბათი

ტვენტე-ფეიენოორდი
ეძსელსიორი-ჰერაკლესი
როდა-გრაააფსხაპი
ვენლო-ჰერენვეენი

28 ოქტომბერი. კვირა

უტრეხტი-აიაძსი
სპარტა-ეინდჰოვენი
გრედა-ალკმაარი
ნიიმეგენი-გრონინგენი

X ტური

2 ნოემბერი. პარასკევი

ვილემი-ვენლო

3 ნოემბერი. შაბათი

ჰერენვეენი-ეინდჰოვენი
ალკმაარი-ნიიმეგენი
ეძსელსიორი-სპარტა

4 ნოემბერი. კვირა

უტრეხტი-გრედა
ფეიენოორდი-გრაააფსხაპი
აიაძსი-როდა
ჰერაკლესი-ტვენტე
გრონინგენი-ვიტესი

XI ტური

9 ნოემბერი. პარასკევი

ნიიმეგენი-ჰერაკლესი

10 ნოემბერი. შაბათი

ტვენტე-გრედა
გრაააფსხაპი-ეძსელსიორი
ვენლო-სპარტა
ვილემი-უტრეხტი

11 ნოემბერი. კვირა

ფეიენოორდი-აიაძსი
ეინდჰოვენი-ალკმაარი
ვიტესი-ჰერენვეენი
როდა-გრონინგენი

XII ტური

23 ნოემბერი. პარასკევი

გრედა-როდა

24 ნოემბერი. შაბათი

ჰერენვეენი-გრაააფსხაპი
ალკმაარი-ვილემი
ეძსელსიორი-ეინდჰოვენი
ჰერაკლესი-ვენლო

25 ნოემბერი. კვირა

აიაძსი-ვიტესი
გრონინგენი-ფეიენოორდი
უტრეხტი-ნიიმეგენი
სპარტა-ტვენტე

XIII ტური

30 ნოემბერი. პარასკევი

უტრეხტი-სპარტა

1 დეკემბერი. შაბათი

ვილემი-ეძსელსიორი
გრაააფსხაპი-ეინდჰოვენი
როდა-ვიტესი
გრონინგენი-ვენლო

2 დეკემბერი. კვირა

ფეიენოორდი-ჰერაკლესი
ტვენტე-ალკმაარი
აიაძსი-გრედა
ნიიმეგენი-ჰერენვეენი

XIV ტური

7 დეკემბერი. პარასკევი

ეინდჰოვენი-როდა

8 დეკემბერი. შაბათი

ჰერაკლესი-გრაააფსხაპი
ვიტესი-ტვენტე
ვილემი-აიაძსი
ეძსელსიორი-გრედა

9 დეკემბერი. კვირა

ჰერენვეენი-გრონინგენი
სპარტა-ნიიმეგენი
ალკმაარი-უტრეხტი
ვენლო-ფეიენოორდი

XV ტური

14 დეკემბერი. პარასკევი

როდა-სპარტა

15 დეკემბერი. შაბათი

ფეიენოორდი-ალკმაარი
გრედა-ჰერენვეენი
ტვენტე-ვენლო
გრაააფსხაპი-ნიიმეგენი

16 დეკემბერი. კვირა

ვიტესი-ეძსელსიორი
გრონინგენი-ვილემი
უტრეხტი-ჰერაკლესი
აიაძსი-ეინდჰოვენი

XVI ტური

21 დეკემბერი. პარასკევი

ვილემი-გრაააფსხაპი

22 დეკემბერი. შაბათი

ჰერენვეენი-ტვენტე
სპარტა-გრედა
ალკმაარი-როდა
ეინდჰოვენი-უტრეხტი

23 დეკემბერი. კვირა

ეძსელსიორი-აიაძსი
ჰერაკლესი-გრონინგენი
ნიიმეგენი-ფეიენოორდი
ვენლო-ვიტესი

XVII ტური

26 დეკემბერი. ოთხშაბათი

ფეიენოორდი-სპარტა
გრაააფსხაპი-ალკმაარი
ნიიმეგენი-ვენლო
გრონინგენი-ეინდჰოვენი

27 დეკემბერი. ხუთშაბათი

უტრეხტი-ეძსელსიორი
გრედა-ვიტესი
აიაძსი-ტვენტე
ჰერაკლესი-ვილემი
როდა-ჰერენვეენი

XVIII ტური

29 დეკემბერი. შაბათი

სპარტა-გრონინგენი

30 დეკემბერი. კვირა

ეინდჰოვენი-გრედა
ვილემი-ნიიმეგენი
ეძსელსიორი-როდა
ვიტესი-უტრეხტი
ვენლო-აიაძსი
ალკმაარი-ჰერაკლესი
ტვენტე-გრაააფსხაპი
ჰერენვეენი-ფეიენოორდი

XIX ტური

11 იანვარი. პარასკევი

ნიიმეგენი-ტვენტე

12 იანვარი. შაბათი

გრონინგენი-ეძსელსიორი
გრედა-ვენლო
როდა-ვილემი
უტრეხტი-ჰერენვეენი

13 იანვარი. კვირა

ჰერაკლესი-სპარტა
გრაააფსხაპი-ვიტესი
აიაძსი-ალკმაარი
ფეიენოორდი-ეინდჰოვენი

XX ტური

18 იანვარი. პარასკევი

ეძსელსიორი-ფეიენოორდი

19 იანვარი. შაბათი

ვიტესი-ჰერაკლესი
ჰერენვეენი-ალკმაარი
გრედა-ვილემი
უტრეხტი-როდა

20 იანვარი. კვირა

ტვენტე-გრონინგენი
სპარტა-გრაააფსხაპი
ნიიმეგენი-აიაძსი
ვენლო-ეინდჰოვენი

XXI ტური

22 იანვარი. სამშაბათი

ალკმაარი-გრედა
ვილემი-ვიტესი
ჰერაკლესი-ეძსელსიორი

23 იანვარი. ოთხშაბათი

გრაააფსხაპი-როდა
ჰერენვეენი-ვენლო
აიაძსი-უტრეხტი
ეინდჰოვენი-სპარტა
გრონინგენი-ნიიმეგენი

24 იანვარი. ხუთშაბათი

ფეიენოორდი-ტვენტე

XXII ტური

25 იანვარი. პარასკევი

ვილემი-ალკმაარი
როდა-გრედა
გრაააფსხაპი-ჰერენვეენი
ეინდჰოვენი-ეძსელსიორი
ნიიმეგენი-უტრეხტი

27 იანვარი. კვირა

ტვენტე-სპარტა
ვიტესი-აიაძსი
ვენლო-ჰერაკლესი
ფეიენოორდი-გრონინგენი

XXIII ტური

1 თებერვალი. პარასკევი

გრედა-ტვენტე

2 თებერვალი. შაბათი

ჰერენვეენი-ვიტესი
ჰერაკლესი-ნიიმეგენი
ეძსელსიორი-გრაააფსხაპი
ალკმაარი-ეინდჰოვენი

3 თებერვალი. კვირა

გრონინგენი-როდა
უტრეხტი-ვილემი
სპარტა-ვენლო
აიაძსი-ფეიენოორდი

XXIV ტური

8 თებერვალი. პარასკევი

ტვენტე-ჰერაკლესი

9 თებერვალი. შაბათი

გრაააფსხაპი-ფეიენოორდი
ვიტესი-გრონინგენი
ეინდჰოვენი-ჰერენვეენი
გრედა-უტრეხტი

10 თებერვალი. კვირა

ვენლო-ვილემი
ნიიმეგენი-ალკმაარი
სპარტა-ეძსელსიორი
როდა-აიაძსი

XXV ტური

15 თებერვალი. პარასკევი

გრაააფსხაპი-გრედა

16 თებერვალი. შაბათი

ვილემი-ეინდჰოვენი
ნიიმეგენი-ეძსელსიორი
ჰერაკლესი-ჰერენვეენი
როდა-ტვენტე

17 თებერვალი. კვირა

გრონინგენი-ალკმაარი
ფეიენოორდი-ვიტესი
უტრეხტი-ვენლო
აიაძსი-სპარტა

XXVI ტური

22 თებერვალი. პარასკევი

სპარტა-უტრეხტი

23 თებერვალი. შაბათი

ეძსელსიორი-ვილემი
ვიტესი-როდა
ჰერაკლესი-ფეიენოორდი
ალკმაარი-ტვენტე

24 თებერვალი. კვირა

გრედა-აიაძსი
ეინდჰოვენი-გრაააფსხაპი
ვენლო-გრონინგენი
ჰერენვეენი-ნიიმეგენი

XXVII ტური

29 თებერვალი. პარასკევი

ვიტესი-ვენლო

1 მარტი. შაბათი

როდა-ალკმაარი
გრაააფსხაპი-ვილემი
ტვენტე-ჰერენვეენი
გრედა-სპარტა

2 მარტი. კვირა

ფეიენოორდი-ნიიმეგენი
უტრეხტი-ეინდჰოვენი
აიაძსი-ეძსელსიორი
გრონინგენი-ჰერაკლესი

XXVIII ტური

7 მარტი. პარასკევი

ჰერაკლესი-უტრეხტი

8 მარტი. შაბათი

ნიიმეგენი-გრაააფსხაპი
ეძსელსიორი-ვიტესი
ვილემი-გრონინგენი
ჰერენვეენი-გრედა

9 მარტი. კვირა

სპარტა-როდა
ალკმაარი-ფეიენოორდი
ეინდჰოვენი-აიაძსი
ვენლო-ტვენტე

XXIX ტური

14 მარტი. პარასკევი

ტვენტე-ვიტესი
ფეიენოორდი-ვენლო
გრონინგენი-ჰერენვეენი
გრედა-ეძსელსიორი
გრაააფსხაპი-ჰერაკლესი

16 მარტი. კვირა

უტრეხტი-ალკმაარი
აიაძსი-ვილემი
ნიიმეგენი-სპარტა
როდა-ეინდჰოვენი

XXX ტური

21 მარტი. პარასკევი

ვიტესი-გრედა

22 მარტი. შაბათი

ალკმაარი-გრაააფსხაპი
ეინდჰოვენი-გრონინგენი
ეძსელსიორი-უტრეხტი
ჰერენვეენი-როდა

23 მარტი. კვირა

სპარტა-ფეიენოორდი
ვილემი-ჰერაკლესი
ტვენტე-აიაძსი
ვენლო-ნიიმეგენი

XXXI ტური

28 მარტი. პარასკევი

გრაააფსხაპი-გრონინგენი

29 მარტი. შაბათი

ჰერაკლესი-როდა
ნიიმეგენი-ეინდჰოვენი
ეძსელსიორი-ვენლო
ჰერენვეენი-აიაძსი

30 მარტი. კვირა

გრედა-ფეიენოორდი
უტრეხტი-ტვენტე
ალკმაარი-ვიტესი
სპარტა-ვილემი

XXXII ტური

4 აპრილი. პარასკევი

როდა-ნიიმეგენი

5 აპრილი. შაბათი

ვილემი-ჰერენვეენი
ტვენტე-ეძსელსიორი
ვიტესი-სპარტა
ეინდჰოვენი-ჰერაკლესი

6 აპრილი. კვირა

აიაძსი-გრაააფსხაპი
ფეიენოორდი-უტრეხტი
ვენლო-ალკმაარი
გრონინგენი-გრედა

XXXIII ტური

13 აპრილი. კვირა

ჰერაკლესი-გრედა
ეინდჰოვენი-ტვენტე
გრაააფსხაპი-უტრეხტი
გრონინგენი-აიაძსი
ნიიმეგენი-ვიტესი
ეძსელსიორი-ალკმაარი
როდა-ვენლო
სპარტა-ჰერენვეენი
ვილემი-ფეიენოორდი

XXXIV ტური

20 აპრილი. კვირა

ფეიენოორდი-როდა
ვიტესი-ეინდჰოვენი
ჰერენვეენი-ეძსელსიორი
აიაძსი-ჰერაკლესი
ვენლო-გრაააფსხაპი
ალკმაარი-სპარტა
ტვენტე-ვილემი
გრედა-ნიიმეგენი
უტრეხტი-გრონინგენი

ჟი სუნ პარკი იანვრამდე დაისვენებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** დაადასტურა, რომ კორეელი ნახევარმცველი **ჟი სუნ პარკი** იანვრამდე ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას. ამის მიზეზი ტრავმირებულ მუხლზე გადატანილი ოპერაციაა.

"ის დეკემბრამდე ან იანვრამდე დაგვაკლდება. ძალიან უსიამოვნო ამბავია, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გუნდში მოიძებნებიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც სრულფასოვნად შეცვლიან ტრავმირებულ პარტნიორებს", - აცხადებს სერ ალექსი.

ტოშაკს უელსში დიდი ხნით დარჩენა უნდა

უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჯონ ტოშაკი** გუნდთან მოქმედი კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. ამჟამინდელი ხელშეკრულება 2009 წლის ბოლომდეა გაფორმებული.

"ჩემს კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგ ზურის მოპოვების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაგრძელების საშუალება მეძლევა. ამის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ამისთვის ჯერ ძალიან ბევრია გასაკეთებელი, საბოლოო მიზნამდე მისასვლელი გზა სანახევროდ გვაქვს გავლილი. ვიცი, ზოგიერთი არ დაეთანხმება ჩემს ამ სიტყვებს, მაგრამ მე ეს ნაკლებად მაღელვებს", - აცხადებს ტოშაკი.

მილანი შიმიჩს იტოვებს

"მილანმა" უარით გაისტუმრა "ევერტონი" და "მარსელი", რომლებსაც ხორვატი მცველის **დარიო შიმიჩის** გადაბირება ჰქონდათ განზრახული.

"შიმიჩმა საინტერესო წინადადებები მიიღო "ევერტონიდან" და "მარსელიდან", მაგრამ ადრიანო გალიანისთან მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ ჩემი კლიენტი "მილანში" გააგრძელებს თამაშს", - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა.

პამბურგი ვან დერ ვაარტისთვის იბრძვის

რაფაელ ვან დერ ვაარტს "ჰამბურგთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც, 2009 წელს მას გუნდის დატოვება სულ რაღაც 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეეძლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა HSV-სთან ახალი კონტრაქტი არ გააფორმა, გაისად ჩრდილოგერმანულ გუნდს მისი გაყიდვა მოუწევს, რათა ორი წლის შემდეგ მილიონნახევრად არ დაკარგოს. ვან დერ ვაარტის გაისად გაყიდვა "ჰამბურგის" ბოლო შანსი იქნება, რომ თავის ლიდერში სოლიდური თანხა მიიღოს. სწორედ ამიტომ, HSV-ს ბოსები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ რაფაელს კონტრაქტი გაუგრძელონ, მაგრამ ფეხბურთელი ჯერჯერობით, უარზეა.

"ჩვენ არ დავნებდებით და მაქსიმალურად ვეცდებით, რომ მასთან ახალი ხელშეკრულება გავაფორმოთ," - აცხადებს ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი**. აქვე გეტყვით, რომ "ჰამბურგს" ფრაინბურგელი **ჯონათან პიტროიპა** და "ჰერტას" მცველი **ჯერომ ბოატენგი** სურს.

ლაასი ვოლფსბურგში?

"ვოლფსბურგს" "ჰამბურგის" ახალგაზრდა ნახევარმცველ **ალექსანდერ ლაასის** შეძენა უნდა. ეს "მგლების" მენეჯერისა და მწვრთნელის, **ფელიქს მაგათის** იდეა გახლავთ, რომლის ხელშიც "ვოლფებს" სერიოზული ამბიციები გაუჩნდათ. ლაასს HSV-სთან კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს და მისი ფასი 1.5 მილიონი ევროა.

ვერდერს სანოგო ეძვირა

"ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი მიროსლავ კლოზეს** შემცვლელის ძებნას აგრძელებს. უკვე გაუწყეთ, რომ "მუსიკოსებს" "ჰამბურგის" ფორვარდ **ბოუბაკარ სანოგოს** შეძენა სურთ და რომ მოლაპარაკებები დაწყებულია. უკანასკნელი ინფორმაციით, HSV-მ კოტ დ'ივუარელი თავდამსხმელი 5 მილიონ ევროდ შეაფასა. ალოფსის აზრით, 24 წლის სანოგოში 5 მილიონის გადახდა სისულელეა. *"თუ არ დააკლებენ, არ ვიყიდით,"* - აცხადებს "ვერდერის" ბოსი. ისე, საკმაოდ გასაკვირია, ბრემენულმა გუნდმა კლოზეს შემცვლელად ეს თავდამსხმელი რომ მიიჩნია, რადგან სანოგომ გასულ სეზონში 31 მატჩში, მხოლოდ და მხოლოდ, 4 გოლის გატანა შეძლო, რაც თავდამსხმელისთვის, დამეთანხმებით, ძალიან ცუდი შედეგია.

აქვე გეტყვით, რომ ბრემენელთა მარცხენა მცველი **კრისტიან შულცი** გუნდის დატოვებას გეგმავს. 24 წლის ფეხბურთელი იმის გამოა უკმაყოფილო, რომ **თომას შააფი** ძალიან იშვიათად ენდობოდა. შულცი გასულ სეზონამდე, მუდმივად ძირითადში თამაშობდა, მაგრამ მას მერე, რაც "მუსიკოსებმა" **პიერ ვომე** იყიდეს, თამაში თითქმის აღარ უწევს. მისი გადაბირება "ვოლფსბურგმა" და "ჰანოვერმა" მოისურვეს.

ჟიულიჰ რომა თითქმის გადაწყვეტილია

თითქმის გადაწყვეტილად უნდა ჩავთვალოთ "ბარსელონას" ფრანგი ლეგიონერის, **ლუდოვიკ ჟიულის** "რომაში" გადასვლის საკითხი. რომაულ კლუბს 31 წლის ფეხბურთელის ტრანსფერი 2.8 მილიონი ფუნტი დაუჯდება.

"რომა" ჟიულის სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებს და წელიწადში 1.4 მილიონი ფუნტის ოდენობის ხელფასს დაუნიშნავს.

შარშანდელ სეზონში, ჟიულიმ "ბარსას" რიგებში 27 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა.

ლანამ კიევო ტორინოში გაცვალა

უეფას ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, "კიევოს" მცველმა **სალვატორე ლანამ** "ტორინოსთან" გააფორმა კონტრაქტი.

30 წლის ლანამ ვერონულ კლუბში 11 წელიწადი გაატარა. გასულ სეზონში ამ ფეხბურთელმა სერია A-ს ჩემპიონატის 31 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ინტერმა ხიმენესი ითხოვა

იტალიის ჩემპიონმა "ინტერმა", "ლაციოდან" არენდის წესით ნახევარმცველი **ლუის ხიმენესი** აიყვანა. ეს ჩილელი ფეხბურთელი მილანურ კლუბში წელიწადს დაჰყოფს.

ხიმენესი 23 წლისაა. მან შარშან 16-ჯერ ითამაშა "ლაციოს" შემადგენლობაში და 2 გოლი გაიტანა.

როგორც იტალიური პრესა იტყობინება, უახლოეს ხანში "ინტერი" კიდევ ერთ ფეხბურთელს დაიმატებს. ეს გახლავთ "რივერ პლეიტის" მცველი **ნელსონ რივასი**.

ინტერვიუ ჩავი ერნანდესთან

რონალდინიოს სათადარიგოთა სკამზე დასმა ძნელია

კატალონიური გრანდის მეორე კაპიტანი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. მას სჯერა, რომ ახალწვეულების წყალობით, კონკურენცია მნიშვნელოვნად გაიზრდება და ამით გუნდი დიდ სარგებელს მიიღებს

რამდენიმე დღეში, "ბარსელონა" მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგება. მოგეხსენებათ, ტიერი ანრის, იაია ტურეს, ერიკ აბიდალისა და გაბრიელ მილიტოს გადაბირებით კატალონიურმა გრანდმა შემადგენლობა მნიშვნელოვნად გააძლიერა. ფრანკ რიიკაარდს ისღა დარჩენია, გულმოდგინედ იმუშაოს და ყველაფერი იღონოს იმისთვის, რათა "ბარსამ" გასულ სეზონში დაკარგული ტიტულები დაიბრუნოს. გუნდში არსებული სიტუაციის დადგენის მიზნით, "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი, ხავიერ კასკონი ჩავი ერნანდესს შეხვდა და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. თქვენს სამსჯავროზე ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გამოვიტანთ.

- ფატალური, წარუმატებელი სეზონის შემდეგ, ხელმძღვანელობამ მსოფლიო დონის ოთხი ფეხბურთელი შეიძინა. რას გვეტყვით ტიერი ანრის ტრანსფერზე?

- უზომოდ კმაყოფილი ვარ. ჩემი შეფასებით ჩიკი ბეგირისტაინმა ექსტრაორდინალური ტრანსფერი გაჩარხა. დღევანდელ ბაზარზე ანრის დონის ფეხბურთელები დიდ დეფიციტს წარმოადგენენ. ბედნიერი ვარ, რომ ტიერი სწორედ "ბარსელონის" ღირსებას დაიცავს. ეს მართლაც დიდი პრივილეგიაა. ვფიქრობ, ცოტა დრო დასჭირდება იმისთვის, რომ ადაპტაციასთან დაკავშირებული სირთულეები გადალახოს და "კამპ ნოუზეც" ისევე გაიბრწყინოს, როგორც წლების განმავლობაში სხვადასხვა კლუბებსა თუ ნაკრებში ბრწყინავდა. დარწმუნებული ვარ, ანრი "კამპ ნოუს" დიდ სივრცეებს შესანიშნავად გამოიყენებს და სწრაფი დრიბლინგებით მოწინააღმდეგეებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

- როგორ გგონიათ, შესაძლებელია, ანრიმ, მესიმ, ეტოომ და რონალდინიომ ერთდროულად იასპარეზონ ძირითად შემადგენლობაში?

- იმედია, მთავარ მწვრთნელს უკვე მოფიქრებული აქვს, როგორ შეცვალოს გუნდის სათამაშო სქემა. ანრის ტრანსფერი ნებისმიერ შემთხვევაში მისასალმებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კონკურენცია მნიშვნელოვნად გაიზრდება. ბოლო ოთხი წლის გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ყოველ სამ პოზიციაზე მინიმუმ ოთხი ფეხბურთელი მოდის. ჩემი აზრით, კონკურენცია თქვენს მიერ ჩამოთვლილი ფეხბურთელებისთვის ძალიან სასარგებლო იქნება. მოტივაციასა და ბრძოლის სურვილს არასოდეს დაკარგავენ. ყოველთვის ეცოდინებათ, რომ ძირითადი შემადგენლობიდან ნებისმიერ დროს შეიძლება ამოვარდნენ. დამეთანხმებით, ოთხივე ვარსკვლავი დიდი ამბიციების მატარებელია, ასე რომ, თავს მოდუნების უფლებას არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ.

- სხვათა შორის, მოტივაცია, რომელზეც თქვენ საუბრობთ, "ბარსელონას" გასულ სეზონში აშკარად აკლდა. ხომ არ გგონიათ, რომ ანრი ცოტა გვიან ჩამოვიდა?

- ვერ დაგეთანხმებით. გასულ სეზონში არც მოტივაცია გვაკლდა, არც შემართება და არც კონკურენცია. შესაძლოა, თავდასხმის ხაზში ყველაზე მეტი პრობლემა იყო. ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რიიკაარდის სამუშაო სულაც არ არის იოლი. მაგალითად, რონალდინიოს სათადარიგოთა სკამზე დასმა ძნელია. გაუჭრ მსოფლიო დონის ვარსკვლავია და მე თუ მკითხავთ, მან ყოველთვის უნდა ითამაშოს... მაგრამ არ გამოვრიცხავ, ვინმე ასე არ ფიქრობდეს. დიახ, შარშან ხელი მოგვეცარა, მაგრამ ეს არ გახლდათ მოტივაციის ნაკლებობის ბრალი. შეცდომა იყო იმის თქმა, რომ "ბარსელონა" უძლიერესი გუნდია მთელ მსოფლიოში და ყველა ტიტულს იოლად მოიპოვებს. ცხოვრებამ დაგვანახა, თუ ისეთივე ტემპით არ დარბიხარ, როგორითაც შენი მეტოქე, თუ თავს არ იკლავ და ყველა ორთაბრძოლაში გაბედულად არ შედიხარ, აუცილებლად დაისჯები. თანამედროვე ფეხბურთში გუნდების აბსოლუტური უმრავლესობა შესანიშნავადაა მომზადებული. ყველა დარბის, ყველა თავდაუზოგავად მუშაობს, შრომობს. მაგალითად "სევილია" ავიღოთ, ანდალუსიელებს სულაც არ ჰყავთ დიდი ფიგურები, მაგრამ ამ გუნდში აბსოლუტურად ყველა მუხლჩაუხრელად შრომობდა. შედეგად, გუნდმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. უნდა ვაღიარო, რომ "ბარსელონა" მოდუნებული იყო. საკუთარ თავს მოშვების უფლება მივეცით და ამით ყველაფერი გავაფუჭეთ. რა გაეწყობა, წარსული უნდა დავივიწყოთ. უფრო ხატოვნად რომ ვთქვა, ძველი წყალი გადასასხმელია. ჭურჭელში ახალი, კამკამა წყალი უნდა ჩავასხათ. ფეხბურთმა, ზოგადად ცხოვრებამ, მწარე გაკვეთილი ჩაგვიტარა. ჩემპიონობა თითქმის განაღდებული გვქონდა, მაგრამ ჩვენი დაუდევრობით პირველი ადგილი "რეალს" დავუთმეთ.

- იმ შემთხვევაში, თუ რიიკაარდი მესის, ანრის, ეტოოსა და რონალდინიოს ძირითად შემადგენლობაში ერთად გამოიყვანს, ნახევარდაცვაში მხოლოდ ორი ვაკანტური ადგილი დარჩება...

- დარწმუნებული ვარ, საყრდენ ნახევარმცველებსაც ჯოჯოხეთური კონკურენციის დაძლევა მოუწევთ. რიიკაარდმა შესაძლოა, რამდენიმე ვარიანტიდან ერთ-ერთი ამოირჩიოს. ეს ვარიანტებია: 4—2-3-1, 4-3-3, ან 4-4-2. არჩევანი მართლაც დიდია. ყველას ძალიან აინტერესებს, პირველი ტურის შეხვედრაში "ბარსელონას" ძირითადი შემადგენლობა როგორ დაკომპლექტდება. ბევრჯერ გვითქვამს, სეზონი ხანგრძლივია და ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. გაიხსენეთ შარშანდელი უსიამოვნებები. ეტოომ და მესიმ სერიოზული ტრავმები მიიღეს. ისინი თვეების განმავლობაში ვერ გვეხმარებოდნენ. არავინ იცის, ამჯერად რა მოხდება. ხომ შეიძლება ჩვენს გეგმებში ტრავმებმა ისევ შეიტანონ კორექტივები?! დღეს გაინტერესებთ, რონალდინიო, მესი, ეტოო და ანრი ერთად თუ ითამაშებენ, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს, რომელიმე მათგანმა მძიმე ტრავმა მიიღოს და კითხვის დასმას აზრი დაეკარგოს. მოკლედ, რაც უნდა მოხდეს, თამაშის შესაძლებლობა აბსოლუტურად ყოველ ფეხბურთელს მიეცემა. სეზონი იმდენად ხანგრძლივი და დამღლელია, რომ როტაციების გარეშე ფონს ვერავინ გავა.

- იაია ტურე გუნდის მეორე შენაძენი იყო. აფრიკელის ამპლუას თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის თქვენი კონკურენტი იქნება...

- ყოველთვის ასე ხდებოდა. დეკუ რომ ჩამოვიდა, ხალხი აღფრთოვანებას ვერ მალავდა, სავიოლაზე, ედმილსონსა და ჟიულიზეც იგივეს ვიტყოდი. ნებისმიერი ტრანსფერი კონკურენციის გაზრდას უწყობს ხელს. დანარჩენი კი ინდივიდუალური შესაძლებლობების საქმეა. ზოგი უმკლავდება ამ კონკურენციას, ზოგი ვერა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ თამაშის შანსი ყველას მიეცემა.

- აბიდალის წინააღმდეგ ესპანეთის ნაკრების მაისურით გითამაშიათ. როგორ აფასებთ მის შესაძლებლობებს?

- აბიდალი 2006 წლის მუნდიალზე გავიცანი. ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ მან დიდი მატჩი ჩაატარა. ვფიქრობ, ერიკი ფანტასტიკური განაპირა მცველია. თუ საჭიროება მოითხოვს, ცენტრშიც არანაკლებ წარმატებით შეუძლია თამაში. ჩემი ვარაუდით, ფრანგი მაინც ფრთაზე ითამაშებს. ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის წასვლის შემდეგ ამ პოზიციაზე ვაკანსია გაჩნდა.

- "ბარსას" ბოლო შენაძენი გაბრიელ მილიტოა...

- მისი სახით, ფანტასტიკური მცველი ჩავიგდეთ ხელში. გაბის შესახებ პუიოლს წლების წინათ ვესაუბრე. მაშინ ის ძალიან ახალგაზრდა იყო და "ინდეპენდიენტეს" კაპიტნობდა. ყველას გვახსოვს, მილიტო "რეალმა" შეიძინა, მაგრამ სრულიად გაუგებარი და უსაფუძვლო მიზეზის გამო გაუშვეს. "სარაგოსაში" არგენტინელმა ყველას დაუმტკიცა, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელია და დიდებულად თამაში შეუძლია. როცა დაცვაში გაბრიელ მილიტო მოქმედებს, მშვიდად ხარ.

- როგორ ფიქრობთ, ხელმძღვანელობამ პუიოლს დიდი ხნის ნანატრი მეწყვილე ჩამოუყვანა?

- გასულ სეზონში ტურამიც ჩინებულად თამაშობდა. რაფა მარკესს თუ ტრავმა არ ჰქონდა, მუდამ საიმედო გახლდათ. ღმერთო ჩემო, ჩვენ ოთხი უძლიერესი ცენტრალური მცველი გვყავს.

- გასულ სეზონში ტიტულები რომ არ დაგეკარგათ, რევოლუციური ტრანსფერები მაინც გაიჩარხებოდა?

- სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩვენთან რევოლუცია მოხდა. არც სუპერ ოთხეულის მოსვლაა რევოლუცია და არც ჯოისა და სავიოლას სხვაგან გადაბარგებაა გადატრიალება. გუნდი, უბრალოდ, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მომავალი წარსულზე უკეთესი იყოს.

- ყოველ შემთხვევაში, გულშემატკივრებს იმედი დაუბრუნდათ...

- ანრის პრეზენტაცია მეტისმეტად ემოციური სანახავი გამოდგა. ჩვენმა ქომაგებმა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფორვარდი უზომოდ გულთბილად მიიღეს. საზოგადოებას მოლოდინს არ გავუცრუებთ...

- შუსტერის არჩევანს როგორ აფასებთ? დუდეკი, პეპე, სავიოლა და მეტცელდერი ძლიერი ფეხბურთელები არიან?

- სიმართლე გითხრათ, "რეალის" ცხოვრება არ მაინტერესებს. რაც უნდათ, ის გააკეთონ. ჩვენ მხოლოდ "ბარსელონაზე" უნდა ვიფიქროთ.



ჩავი ერნანდესი

დიეგო მილიტო

ვილიარეალი

ბრძოლა მილიტოსა და კოლოჩინისთვის

ვილიარეალი ფორლანისა და აიალას შემცვლელს ეძებს

"ვილიარეალის" ხელმძღვანელობა **დიეგო ფორლანისა და რობერტო ფაბიან აიალას** შემცვლელების ძიებას შეუდგა. მოგეხსენებათ, ფორლანმა "ატლეტიკოსთან" გააფორმა ხელშეკრულება, აიალამ კი "ყვითელი სუბმარინი" ისე დატოვა, მისი ღირსება ერთ შეხვედრაშიც არ დაუცავს. შეგახსენებთ, არგენტინელი მცველის კონტრაქტი "სარაგოსამ" ექვს მილიონ ევროდ გამოისყიდა და ვეტერანი სამხრეთამერიკელი სამი წლით ჩაიგდო ხელში.

ფრანსისკო როიგმა ირგვლივ მიმოიხედა და გადაწყვიტა, თანამშრომლობა **დიეგო მილიტოსა** და **ფაბრიციო კოლოჩინის** შეთავაზოს. "სარაგოსას" ხელმძღვანელობამ "ვილიარეალის" პრეზიდენტს შეუთვალა, რომ დიეგო მილიტოს 27 მილიონ ევროზე იაფად არ გაყიდის. კოლოჩინი კი სავარაუდოდ, ბევრად უფრო იაფი დაჯდება. არაოფიციალური ინფორმაციით, "დეპორტივო" მის სანაცვლოდ სულ რაღაც რვა მილიონს ითხოვს.

სარაგოსა მათუსალემს ნაბრძობს

"სარაგოსას" მთავარი მწვრთნელი **ვიქტორ ფერნანდესი** იმედს არ კარგავს, რომ "შახტიორის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **მათუსალემი** მის კლუბში გააგრძელებს კარიერას. ბოლო დღეების განმავლობაში, ესპანური კლუბი საკმაოდ აქტიური იყო სატრანსფერო ბაზარზე. "სარაგოსამ" "მილანიდან" არენდით ფორვარდი **რიკარდო ოლივეირა** აიყვანა, ხოლო "ვილიარეალიდან" არგენტინელი მცველი **რობერტო აიალა** შეიძინა.

ახლა კი, ფერნანდესს მათუსალემით სურს ნახევარდაცვის ხაზის გაძლიერება. *"ის ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია. შესანიშნავი იქნება, თუ მათუსალემი ჩვენს შემადგენლობას შეავსებს. ბრაზილიელი გადაბირების შემთხვევაში ჩავთვლი, რომ ახალი სეზონისთვის "სარაგოსას" შემადგენლობა სრულად დაკომპლექტდება",* - ამბობს ვიქტორ ფერნანდესი.

სხვათა შორის, უკრაინაში ჩემპიონატი, უკვე დაიწყო, ხოლო მათუსალემი "შახტიორის" ბანაკში არ იმყოფება. ბრაზილიელს არ სურს უკრაინულ გუნდში დარჩენა და სხვაგან გაშვებას ითხოვს.

შმიცერი ჩეხეთში დაბრუნდა

ცნობილმა ჩეხმა **ვლადიმერ შმიცერმა** უცხოურ კლუბებში 11-წლიანი მოგზაურობის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

ვლადიმ, პირველ რიგში, "ლივერპულში" თამაშით გაითქვა სახელი. ამ გუნდთან ერთად, 2005 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო. მაშინ "მილანთან" ფინალში, ერთი გოლი იტალიელებს სწორედ შმიცერმა გაუტანა.

"ლივერპულამდე" ჩეხი ფორვარდი "ლანსში" და "ბორდოში" თამაშობდა.

წლეულს კი, შმიცერი პრაღის "სლავიას" ღირსებას დაიცავს. კონტრაქტი "1+1" სქემით არის გაფორმებული.

დიაკიტემ კიევი აირჩია

სენეგალელმა მცველმა **პაპე დიაკიტემ** კიევის "დინამოში" გადაწყვიტა თამაშის გაგრძელება. ცოტა ხნის წინათ, ამ ფეხბურთელმა უკრაინის ჩემპიონის პირველი შეთავაზება უარყო, მაგრამ ახლა, უფრო სარფიანი პირობებით "დინამოს" რიგებში ჩაირიცხა. კიეველთა პარალელურად, სენეგალელს თავიანთ რიგებში "ბორდო" და "ვოლფსბურგი" იწვევდნენ.

დიაკატე ბოლო ექვსი სეზონის განმავლობაში "ნანსის" შემადგენლობაში თამაშობდა. ოფიციალურად არ გამოცხადებულა, თუ რა თანხას გადაუხდის "დინამო" ამ კლუბს, თუმცა, ფრანგული წყაროების ცნობით, საქმე ეხება 7 მილიონ ევროს.

ოლიმპიაკოსი კასტილიოს არ გაუშვებს

ვენესუელაში დასრულებული კოპა ამერიკას ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა, მექსიკის ნაკრების ფორვარდი **ნერი კასტილიო** გახდა. ამ ფეხბურთელზე, რომელიც საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" საკუთრებაა, ევროპულმა კლუბებმა ნადირობა გამოაცხადეს.

ბერძნული პრესის ინფორმაციით, მექსიკელის შესაძენად, ყველაზე მეტად "მანჩესტერ სიტი" და დონეცკის "შახტიორი" აქტიურობენ.

თუმცა, 23 წლის კასტილიოს "ოლიმპიაკოსთან" კონტრაქტი 2010 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული და ბერძნები მის სხვაგან გაშვებას არ აპირებენ.

ლერუა: სოშოდან რენში

ვეტერანი ნახევარმცველი **ჟერომ ლერუა** "რენში" გადადის. რამდენიმე დღის წინათ, 32 წლის ფეხბურთელმა მოქმედი კონტრაქტი გაწყვიტა "სოშოსთან".

დღეს, ლერუა "რენში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც, ახალ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

საქართველოს ნაკრები

ელიტისა-კენ!

ჰერბერტი მხედარია, შილდსი ეტლი



სანაკრებო საქმეში შილდსი (წინ) ჰერბერტზე უფრო გამოცდილია

გასულ კვირას, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს სათავეში ახალი მწვრთნელი ჩაუდგა - კანადელმა კენ შილდსმა თანამემამულე გორდონ ჰერბერტი შეცვალა. ჰერბერტი ბერძნული "არისის" თავკაცად რომ დაინიშნა და ამიტომ გახდა მისი შემცვლელის ძიება საჭირო, უკვე მოგახსენეთ. დღეს გაცილებით საყურადღებო კითხვაზე ვუპასუხოთ: ერთი ატლანტის ზურგიდან ტვირთის მეორის მხრებზე გადატანა შეფერხებას ხომ არ გამოიწვევს?

მხედარი და ეტლი

გორდონ ჰერბერტი საქართველოს ნაკრების თავკაცად 2005 წელს დაინიშნა. ორი ზაფხულის განმავლობაში მან კარგად შეისწავლა ჩვენი კალათბურთელების შესაძლებლობები და მეტ-ნაკლებად გაეცნო თითოეული ქართული მოთამაშის ფსიქოლოგიას, ამიტომ, ამ კუთხით უცხოს მოსვლას ისევე ჰერბერტის დარჩენა სჯობდა. თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერ ახალ მწვრთნელს აკლიმატიზაციისთვის ერთი-ორი წელინადი (სანაკრებო კალენდრით) მაინც სჭირდება. მაგალითად, ჰერბერტის წინამორბედ **დრაჟენ ბრაიკოვიჩს** ქართველთა შესაცნობა სამი წელინადიც არ ეყო. ნაკრების სამზარეულოს ცოდნა - აი, პირველი მიზეზი, რის გამოც ჰერბერტის ნასვლა შეიძლება გაუმართლებელი ყოფილიყო.

მეორე მიზეზი წმინდა ტაქტიკურია - ყველა სპეციალისტს კალათბურთის თავისებური ხედვა აქვს და გუნდის სათამაშო სისტემასაც საკუთარ თარგზე ჭრის. ჰოდა, როცა იცვლება მწვრთნელი, თარგიც ახალი ფორმისა იჭრება და ნაკრებიც ხელახლა "იკერება". ეს პროცესიც დროს მოითხოვს. ქართველებს კი წამიც ოქროდ გვიღირს - მესამე წელინადია B დივიზიონში ვყურყუტებთ და თუ A ლიგაში წლეულსაც ვერ გადავედით **ზაზა ფაჩულია** სანაკრებო კარიერის გაგრძელებაზე დაფიქრდება (თუმცა, ეს რომ თქვა - იქვე დაამატა, რომ მსგავსი რამის გაფიქრება მხოლოდ მოტივაციისთვი სჭირდება)...

...და მესამე, სხვისი არ ვიცი, მაგრამ ხორვატი დრაჟენ ბრაიკოვიჩის ნაკრებიდან წასვლა ნამდვილად არ მწყენია. როცა საქმე გუნდის და ზოგადად, ქართული კალათბურთის "ჯანმრთელობას" ეხება, არ შეიძლება პიროვნულის უფრო მაღლა დაყენება. ბატონი დრაჟენის სამსახურის დაკარგვა არ გამხარებია, მაგრამ საერთო საქმისთვის ასე სჯობდა. ხოლო, ხორვატზე გაცილებით მაღალი კლასის გორდონ ჰერბერტის ნაკრებიდან წასვლა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ მისი შემცვლელი ხარისხით უკეთესი იქნება. დაახლოებით ისე, როგორც ჭადრაკში - ხარისხის მოგების მიზნით, მხედარს ეტლში სიამოვნებით რომ ცვლიან. მხედარ ჰერბერტთან შედარებით არის თუ არა, მისი შემცვლელი კენ შილდსი ეტლი? საბედნიეროდ, შილდსსაც ვიცნობთ და შეგვიძლია თამამად ვუპასუხოთ ზემოთ დასმულ სამ კითხვას: როგორ იცნობს შილდსი ქართველებს? ტაქტიკურად, რამდენად მომგებიანია მისი ჩვენს ნაკრებში ყოფნა? არის თუ არა იგი გორდონ ჰერბერტზე ხარისხობრივად მაღალი?

კენი და ქართველები

საქართველოს ნაკრების საშუალო ასაკი 23 წელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ წევრს (**ვატო ნაცვლიშვილის** გარდა) საკუთარი შესაძლებლობები ქართველი ხალხის წინაშე დასამტკიცებელი აქვს, რაც ამბიციურობას განაპირობებს. მაშინ, როცა თავის გამოჩენა ყველას სურს ან საქმე ფუჭდება, ან იდეალურად გამოდის. როგორ ფუჭდება, ამის ახსნა საჭირო აღარაა. იდეალურად კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდის, როცა მწვრთნელი მაღალი დონისაა, კარგად ესმის თითოეულის ფსიქოლოგია, შესაძლებლობები და ყველას ლიმინივით წურავს. მაგალითად, გორდონ ჰერბერტმა შარშან ვერ გამოიყენა **გიორგი ცინცაძის, ვიქტორ სანიკიძისა** და ვატო ნაცვლიშვილის შესაძლებლობები - პრინციპულ თამაშებში ვერ ენდო.

არა მგონია, შედარებით გამოცდილ კენ შილდსს მათთან საერთო ენის გამონახვა გაუჭირდეს და ერთი გაფუჭებული ტყორცნის შემდეგ გამოცვალოს. საბედნიეროდ, შილდსი გორდონ ჰერბერტის ჩამოყვანილია, მესამე წელინადია ჩვენს ნაკრებთან მუშაობს და კალათბურთელებიც კარგად ჰყავს შესწავლილი. ერთერთი ღია ვარჯიშის შემდეგ ზაზა ფაჩულია კენ შილდსთან მივიდა, რამდენიმე რჩევაც ჰკითხა, დრო დამინიშნე, აჩქარებებს გავაკეთებო და სამომავლო საქმეებსაც შეეხო. ეს მოკრძალებული ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ შილდსს ჩვენს ნაკრებში ყველაზე დიდი გავლენა აქვს, პიროვნულადაც "კაი ტიპია" და ასეთ კაცს ზედმეტად ამბიციური მოთამაშეების მოთვინიერება არ გაუჭირდება.

ქართველებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ახალი მწვრთნელი ძველს არ ჩამოუვარდება, თუ არ სჯობს. რადგან ვთქვით, რომ შილდსი საქართველოში ჰერბერტმა ჩამოიყვანა, უკვე გასაგებია, რომ მწვრთნელთა შტაბი ნაკრებში ერთი თარგით მუშაობდა. სერ კენის მთავარ მწვრთნელად დანიშვნით ტაქტიკური სქემები არ შეიცვლება.

ახლა გავარკვიოთ გორდონ ჰერბერტი უფრო მაღალი დონის სპეციალისტია თუ კენ შილდსი.

გორდის (როგორც მას კალათბურთის ფედერაციაში უწოდებენ) ზურგსუკან ფინეთში, ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში მუშაობის გამოცდილებაა. მან 2004 წელს ფრანკფურტის "სკაილაინერზს" გერმანიის ჩემპიონობა მოუტანა.

კენ შილდსის გასაცნობად გაზეთ "კანადიან პრესში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციას გთავაზობთ:

"კანადის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი 19 ივლისს ჯეიმს ნეისმიტის სახელობის პრიზით დაჯილდოვდება. ეს საპატიო ჯილდო კანადის კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის აქამდე ორმა პიროვნებამ მიიღო - "ფინიქსის" წევრმა სტივ ნეშმა და "ტორონტოს" დამფუძნებელმა ჯონ ბიტოვემ. კენ შილდსი დიდების დარბაზში 1999 წელს შეიყვანეს. შეგახსენებთ, რომ იგი კანადის ნაკრებს 1988 წლიდან 1999-მდე წვრთნიდა. 1994-ში გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატი მეშვიდე ადგილზე დაასრულა. გარდა ამისა, შილდსის აქტივშია ზედიზედ შვიდჯერ მოგებული უნივერსიტეტების ჩემპიონატი "ვიქტორიასთან" ერთად".

ბოლო დროს, ვისაც სერიოზული კონსულტანტი დასჭირდება, შილდსს ურეკავს. შარშან იგი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ იაპონიის ნაკრების მწვრთნელთა შტაბში მუშაობდა. როგორ ფიქრობთ, რატომ დაუძახა საქართველოში ჩამოსულმა ჰერბერტმა კენ შილდსს? - სწორედ სანაკრებო გამოცდილების გამო, რაც მანამდე ჰერბერტს არ გააჩნდა. ვფიქრობ, კენ შილდსის კვალიფიკაციაზე საუბარი საჭირო აღარაა. არც ის იწვევს ეჭვს, რომ სანაკრებო საქმეში გორდონ ჰერბერტზე მეტი იცის.

მოკლედ...

მოკლედ, ჰერბერტი შარშანაც წავიდა ნაკრებიდან და შემცვლელად **ჯეი ტრაიანო** გვირჩია. ნლეულსაც საკლუბო კალათბურთი არჩია სანაკრებოს. ჰოდა, კალათბურთის ფედერაციის მესვეურები სწორად მოიქცნენ, ჰერბის ორ ფრონტზე მოღვაწეობის უფლება რომ არ დართეს (თუმცა, თავად გორდონი ამბობდა, ნაკრების შეკრებიდან კლუბში გაქცევა მოსაწონი საქმე არ არის, მაგრამ შარშან სხვა გზა არ მქონდაო).

გასულ წელს, ივნისში გორდონ ჰერბერტი "პორტეზის" თავკაცად რომ დაინიშნა, რედაქტორმა მაშინვე მკითხა - მწვრთნელმა ნაკრების შეკრებიდან კლუბში უნდა ირბინოს? ხომ არ სჯობს, მის ნაცვლად ეროვნულის საჭე სხვისთვის ჩაებარებინათო? ახალი სპეციალისტის მოსვლა, საქმის ახლად დაწყებას ნიშნავს, ამის დრო კი არა გვაქვს-მეთქი, ვუპასუხე. სწორედ მაშინ ამოტივტივდა კენ შილდსის სახელი, რომელიც საქართველოში ჰერბერტთან ერთად ჩამოვიდა. კენს არანაკლები გამოცდილება აქვს და შეიძლება მეტად გავლენიანიცაა ჩვენს კალათბურთელებში-მეთქი. მაგრამ, ამ თემაზე მოსაზრების დაწერა ერთმა ფაქტმა გადამაფიქრებინა - კენ შილდსს შარშან იაპონიის ნაკრებთან ჰქონდა კონტრაქტი და მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას მასპინძლებთან უნდა ყოფილიყო.

როგორც ხედავთ, გორდონ ჰერბერტთან დაკავშირებით წლეულსაც ანალოგიური პრობლემა შეიქმნა და კალათბურთის ფედერაციამ დაგვასწრო - შილდსი მწვრთნელად მანამ დანიშნა, სანამ მის პირველკაცობაზე სტატიას დავწერდით.

იმედია, კენ შილდსი A დივიზიონის კარს შეგვიღებს და ამ სტატიის დაწერას არ მანანებინებს.

ვაჟა სიმონიშვილი



ალექსანდრე კოტრიკაძეს ფოტო

კადეტთა ნაკრები

კუნძულ კრეტაზე შავი ზღვის გავლით

უფროსების წყალი გადმოგვესხას!

გუშინ, საქართველოს კადეტთა ნაკრები საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე გაფრინდა. 16-წლამდელთა მიზანი, ევროპის ჩემპიონატში ღირსეულად გამოსვლა იქნება.

ქართველები A ჯგუფში იტალიასთან, ესპანეთთან (მოქმედი ჩემპიონი) და სლოვენიასთან მოხვდნენ, რაც წინასწარ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ სამეულში მოხვედრა (როგორც ეს ამოცანა იქნება. ჯგუფში მეოთხე ადგილის დაკავება კი ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ ოთხეულში მოხვედრის საწინდარია. მათგან უსუსტესი ორეული B დივიზიონში დაქვეითდება. მოკლედ, ვუსურვოთ კადეტებს A ლიგაში დარჩენა და მათ მწვრთნელ **მიხეილ კობეშავიძეს** მოვუსმინოთ.

- გუნდი ივნისის დასაწყისში შევკრიბეთ. ორი კვირით თელავში ვემზადებოდით, სადაც პირველი კვირა ფიზმომზადებას დავუთმეთ, მეორე - ტაქტიკურ მეცადინეობებს. შემდეგ შავი ზღვის თამაშებზე გავემგზავრეთ, სადაც 2 წლით უფროსებთან მოგვიწია დაპირისპირება. მართალია, რუსეთს, საბერძნეთსა და თურქეთს ძლიერი ჭაბუკთა გუნდები ჰყავდათ ჩამოყვანილი და თანაბრად ბრძოლა გაგვიჭირდა, მაგრამ ბიჭებმა დიდი გამოცდილება მიიღეს, რაც ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად წაგვადგება.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ქართველებს მეტისმეტად ძლიერი ჯგუფი შეხვდათ. საინტერესოა, რას ფიქრობს შანსებზე მიხეილ კობეშავიძე:

- მოწინააღმდეგეთა შესახებ მხოლოდ ინტერნეტით მოძიებული ინფორმაციები გვაქვს. ესპანელები მოქმედი ევროპის ჩემპიონები არიან, იტალიელები და სლოვენიელები კი ყოველ ტურნირზე ფავორიტებად ითვლებიან. მათ ფონზე აშკარად აუტსადერები ვართ, მაგრამ ვეცდებით, ახალგაზარდული ნაკრების მიღწევა გავიმეოროთ და ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ.

ამ სიტყვების შემდეგ მწვრთნელი შეგირდებს მიუბრუნდა: 20-წლამდელების წყალი გადმოგვსხმოდესო. მიხეილ კობეშავიძის თანაშემწემ **გია კაზანჯიანმა** აღნიშნა, რომ სხვა ქართული გუნდების მსგავსად კადეტთა პლუსიც ბრძოლისუნარიანობაა. სწორედ ამის ხარჯზე შევეცდებით მიზნის მიღწევასო.

იმედიანადაა კაპიტანი **ტატო თავართქილაძეც**, რომელიც გუნდში ერთადერთია, ვინც შარშან B-დან A დივიზიონში გადასვლაში მონაწილეობდა: *- ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად მოვემზადეთ. დიდი სურვილი გვაქვს, თავი არ შევირცხვინოთ და ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. ამისთვის თავს არ დავზოგავთ.*

ვაჟა სიმონიშვილი

	დაბ.	სმ.	გუნდი
ტატო თავართქილაძე	16.02.91	193	აკადემია
თორნიკე შენგელია	05.10.91	198	მართვე
გიორგი ელანიძე	02.03.91	198	თსუ
გივი ბაძრაძე	26.05.91	184	კონსტანტა
ვერაზ გოქოლიშვილი	27.02.92	192	აკადემია
გელა ჩიკვილაძე	12.02.91	195	თსუ
აკაკი ფქვალიშვილი	14.02.91	203	ახალი
ირაკლი მალლაკელიძე	29.01.91	189	მართვე
დავით იოსელიანი	09.05.91	205	მართვე
ლევან სულაბერიძე	12.02.91	208	აკადემია
გიორგი ხეთაგური	04.04.91	196	აკადემია
ლუკა ჟორჟოლიანი	16.04.91	192	მართვე

ქალენდარი

20 ივლისი

23:15	საქართველო-ესპანეთი
21:00	იტალია-სლოვენია

21 ივლისი

21:00	საქართველო-იტალია
23:15	სლოვენია-ესპანეთი

22 ივლისი

21:00	იტალია-ესპანეთი
23:15	საქართველო-სლოვენია

ბეისბოლი

საქართველო-პოლონეთი 10:0 საქართველო-ავსტრია 9:4

პოლონეთში, ქალაქ პოზნანთან ახლოს, გუშინ დაიწყო ევრო-აფრიკის შესარჩევი ტურნირი ბეისბოლში. ამ ორი კონტინენტის 19-წლამდელთა საუკეთესო გუნდები, რომლებმაც მანამდე მოიპოვეს შესარჩევ ეტაპზე ასპარეზობის უფლება, იმ ერთი საგზურისთვის იბრძოლებენ, რომელიც გამარჯვებულს საშუალებას მისცემს, ევროპისა და აფრიკის სახელით გამოვიდეს მსოფლიო ჩემპიონატში. ჩემპიონატი მალე გაიმართება აშშ-ში.

საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის **ნუგზარ კაპანაძისა** და მწვრთნელ **გიორგი გოგორიკიძის** ხელმძღვანელობით გაემგზავრა ტურნირზე. ჩვენების პირველი მეტოქე იყო პოლონეთის ნაკრები. ქართველებმა ტურნირის მასპინძლები მშრალი ანგარიშით 10:0 დაამარცხეს.

ამ ინფორმაციის მიღებისთანავე შევეხმიანეთ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს **რამაზ გოგლიძეს** და კომენტარი ვთხოვეთ. - *"მოკლედ გეტყვით, დარწმუნებული ვარ, ჩვენების გამარჯვება განაპირობა პიჩერების სიძლიერემ. ექვსი ერთმანეთზე უკეთესი პიჩერი გვყავს და საჭიროების შემთხვევაში, ისინი ეფექტურად ცვლიან ერთმანეთს."*

გაზეთის დაბეჭდვის წინ, მივიღეთ ახალი ინფორმაცია. საქართველოს ნაკრებმა გუშინვე 9:4 მოუგო ავსტრიის გუნდს, რითაც ევროპა-აფრიკის სახელით მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის დიდი შანსი მიეცა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

დაპირისპირება ჩოგბურთის ფედერაციაში

კანონი ლეილა მესხის მხარესაა

ლეილა მესხი და დავით ნამგალაური

რომორც იცით, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ლეილა მესხის** მუშაობით ჩოგბურთის მოლეწეთა ერთი ჯგუფი უკმაყოფილოა. მათ 31 ივლისს რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და პრეზიდენტისა და გამგეობის ხელახლა არჩევა სურთ. მათი განცხადება ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა და ხელს 28 დელეგატი აწერდა. კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტის, იურისტ **დავით ლანჩავას** განმარტებით, წესდების თანახმად, რიგგარეშე ყრილობის მოსაწვევად 9 წევრის სურვილია საკმარისი.

ამ განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და აზრთა სხვადასხვაობაც გაჩნდა. "ლელო" ორივე მხარეს მისცემს აზრის გამოთქმის საშუალებას, მაგრამ ერთი არცთუ სასიამოვნო ფაქტზე კი გვსურს ყურადღების გამახვილება: იმ 28 კაციდან, რომელიც აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერს, რამდენიმე ამბობს, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანეს და ხელი მოტყუებით მოაწერინეს. ცოტა რთული დასაჯერებელია ასეთი რამ, მაგრამ ჩვენ ვერაფერს გამოვრიცხავთ.

ერთ-ერთი ასეთი "მოტყუებული", ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დეკანი **ტრისტან გულბიანი** თავად დაგვიკავშირდა და გვითხრა: - *"ჩემთან მოვიდა გელა ელერდაშვილი და მითხრა, რომ ლეილა მესხს პრეზიდენტობა აღარ სურდა. ფორმალობის დასაცავად დელეგატთა ხელის მოწერა იყო საჭირო. ისიც მაცნობა ელერდაშვილმა, რომ ლეილა ამჟამად ერევანშია და რომ ჩამოვა, რიგგარეშე ყრილობა შედგება და ყველაფერი უმტკივნეულოდ გადაწყდებაო. ბატონ გელასთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს და ვიცოდი, რომ მუდამ ქალბატონი ლეილას მხარდამჭერი იყო, ამიტომ მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვი არ შემიტანია. ამის გამო არ გადავამოწმე ინფორმაცია ქალბატონ ლეილასთან. შეურაცხყოფილი ვარ და ბატონ გელას ამისთვის საკადრის პასუხს გავცემ. მე არც მიფიქრია მესხისგან განდგომა".*

ამავე პოზიციაზეა **გია ელერდაშვილიც**, რომელიც გელას ბიძაშვილია. ისიც ნდობის მსხვერპლი გამხდარა და ამჟამად აცხადებს, რომ ის, მამამისი და მისი და - **ვანო და მარინა ელერდაშვილებიც** ლეილა მეხსის მომხრეები არიან.

დაპირისპირების შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურს.

- სპორტის დეპარტამენტსა და ჩოგბურთის ფედერაციას შორის ურთიერთობას არეგულირებს კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ჩოგბურთის ფედერაციასაც და დეპარტამენტსაც გათვალისწინებული აქვთ სამოქმედო გეგმა, ფინანსური თუ სხვა სახის ვალდებულებები. ჩვენ ჩოგბურთის ფედერაციისადმი არავითარი პრეტენზია არ გვაქვს - მშვენივრად ვურთიერთობთ. რაც შეეხება დაპირისპირებას, თუკი ფედერაციის შიგნით არსებობს პრობლემები, ვთვლი, რომ შიგნითვე უნდა მოგვარდეს.

- დაპირისპირებული მხარის მთავარი პრეტენზია ისაა, რომ ქართულმა ჩოგბურთმა მასობრიობა დაკარგა და ახალგაზრდა თაობა თითქმის აღარ არსებობს...

- სამწუხაროდ, ჩოგბურთი არ არის იაფი სახეობა და აქ მასობრიობა ძნელია. მე ვესაუბრე ოპოზიციურ მხარეს და მათ მითხრეს, რომ შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება, გაიაფება. ჩვენ მხოლოდ ხელს შევუწყობთ საქართველოში ჩოგბურთის განვითარებას და იმ ხალხს, ვისაც ეს ხელეწიფება, დავეხმარებით, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ დაპირისპირება აქამდე არ უნდა მისულიყო - არ იყო საჭირო ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა - სჯობდა, ერთმანეთში მოელაპარაკათ. იმედი მაქვს, რომ მხარეები გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

განცხადების გამოქვეყნების დღეს ლეილა მესხმა "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა, რომ თითქოს დავით ლანჩავას ერთ-ერთ კრებაზე უთქვამს - ზემოდან, ხელისუფლებიდან მაქვს დავალებული მესხის მოშორებაო. ბატონმა დავითმა ეს ინფორმაცია უარყო. ნამგალაურის შემდეგ პარლამენტის კულტურისა და სპორტის კომიტეტის წევრს, "ნაციონალური მოძრაობის" სპორტის სამსახურის უფროსს ვალერი გიორგობიანს დავუკავშირდით. ეგებ, მართლა უჭერს მხარს "ნაცმოძრაობა" ლანჩავას?

- ლეილა მესხი ცნობილი და ღვაწლმოსილი ჩოგბურთელია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ის მოქმედი პრეზიდენტია და თუკი მის უწყებაში პრობლემებია, უნდა მიეცეს შანსი, რომ გამოასწოროს მდგომარეობა - არჩევნებამდე ერთი წელიწადია დარჩენილი და ბევრის მოსწრება შეიძლება. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას უსაფუძვლოდ ედავებიან - აქამდე ქვეყნის ხელისუფალთ არავითარი პრეტენზია არ ჰქონდათ მათ მიმართ. სპორტის სამინისტრომ და დეპარტამენტმა 2007 წლის დამდეგს მადლობაც კი გამოუცხადა ამ ორგანიზაციას. ექვს თვეში განა რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლის საკითხი დამდგარიყო? ცხადია, ნებისმიერ შემთხვევაში 2008 წლის არჩევნებს უნდა დავუცადოთ.

- ოპოზიციის არგუმენტებს არ ითვალისწინებთ?

- ყველაფერი შედეგით ისაზღვრება. მე კარგად ვიცნობ ქართულ საჩოგბურთო ცხოვრებას და ვფიქრობ, საკმარისი კერებია იმისათვის, რომ ჩოგბურთელი გაიზარდოს და ჩოგბურთიც განვითარდეს, განსაკუთრებით - თბილისში. რეგიონებშიც შეინიშნება გამოცოხლება - ახლახან თელავში აღდგა კორტები - ეს სწორედ სახელმწიფოს მხარდაჭერის გამოხატულებაა და ნურავინ ნუ ჩათვლის პირად მიღწევად. სახელმწიფო კი გითხარით, როგორ პოზიციაზეა.

- ესე იგი, "ნაციონალური მოძრაობა" ლეილა მესხს უჭერს მხარს?

- ჩვენ კანონიერებას ვუჭერთ მხარს, კანონი კი ლეილა მესხის მხარესაა.

ზვიად შათირიშვილი

ჭაბიშვილი მეორე წრეშია

17 წლის **ანა ტატიშვილს** WTA ტურის "დასავლეთი და სამხრეთი ფინანსური ჯგუფის" ტურნირის ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავდა ამერიკელი **კეტი რაკერტის** (515) სახით, ანამაც ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა - 6:1, 6:1. ამით ქართველი ცინციანატის 175-ათასიანი საპრიზო ფონდის ტურნირის ძირითად ბადეში გავიდა, სადაც მე-5 ნომრად განთესილ იაპონელ **აიკო ნაკამურას** (57) მოუგო: 1:6, 6:4, 7:6.

ოქსანა კალაშნიკოვა ამჟამად გერმანიაშია, სადაც გარხინგის 10-ათასიან ტურნირ "ოპუს კაპზე" ცდის ბედს. ქართველი საკვალიფიკაციო ტურნირში პირველ ნომრად განთესეს. ძირითად ბადეში ჩვენებური ისე გავიდა სეტი არ დაუთმია, ბოლოს მან ჩეხი **ჰანა ბირნეროვა** დაამარცხა - 6:4, 6:2. ძირითად ბადეში კალაშნიკოვა საკვალიფიკაციოდან კიდევ ერთ გასულს შეხვდება, ახალზელანდიელ **დიან ჰოლენდს**. სხვათა შორის, ტურნირის ოფიციალური საიტი აღფრთოვანებით წერს კალაშნიკოვას თამაშზე: *"ქართველმა კალაშნიკოვამ მაშინვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება უაღრესად სწრაფი თამაშის წყალობით. ოქსანამ ეჭვიც კი არავის დაუტოვა, რომ ის ძირითად ბადეში იოლად გავიდოდა. კალაშნიკოვამ ბირნეროვასთანაც ანალოგიურად ითამაშა, მას ძირითად ბადეშიც შეუძლია წარმატების მიღწევა".*

გუშინ 18 წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი მსოფლიო კლასიფიკაცია გამოქვეყნდა. რეიტინგი ჩვენთვის იმითაც საინტერესოა, რომ მასში თბილისის "ბაბოლატის თასის" შედეგებია შესული - ასე რომ, ბევრმა ქართველმა ჩოგბურთელმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა. დავიწყოთ გოგონებით, სადაც **ოქსანა კალაშნიკოვამ** კარიერის მორიგ მწვერვალს მიაღწია - 16 წლის ქართველი მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში შევიდა, შარშან ეს **ანა ტატიშვილმა** მოახერხა, წლეულს კი ჯერი ოქსანაზეა. კალაშნიკოვას 592 ქულა აქვს და რეიტინგში მეოცეა. თბილისის ტურნირი 15 წლის **ეკა გორგოძემ** მოიგო, რისთვისაც მას ერთეულებში 30 ქულა დაერიცხა. გორგოძე 60 ქულით 592-ე ადგილზეა. "ბაბოლატის თასი" გორგოძისთვის სულ მესამე ტურნირი იყო, 16-წლამდელთა შორის კი გორგოძე ევროპის პირველი ჩოგანია. თბილისის ტურნირის ფინალისტი 16 წლის **ანა ჯიქია** 41 ქულით 754-ე ადგილზე აღზევდა.

ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილმა** ასეულში დაკარგა ადგილი, ის 257 ქულით 121-ე ადგილზეა. 15 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 78 ქულით 463-ე ადგილზეა. ბასილაშვილმა რეიტინგში ჰოლანდიური ტურნირის მეოთხედფინალში გასვლის წყალობით მოიმატა. სხვა ქართველები ათასეულში: 480 **გიორგი ჭანტურია**, 584 **რევაზ ოსაძე**, და 771 **ნიკოლოზ ქურდაძე**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

ხუთი ხუთზე, დარჩა ხუთი

ნაგოიას ბაშოზე მოასპარეზე ქართველ სუმოისტ **კოკას** მოგებებისა და წაგებების რიცხვი კვლავ გაუთანაბრდა - გუშინ მან ყოფილ ოქტა **მიაბიამასთან** ნააგო. ორივე რიკიშიმ გადაწყვიტა ფონს ძალით გასულიყო, რომელიც ელიტაში ყველაზე მძიმეწონოსან სუმოისტს მეტი აღმოაჩნდა. დღეს კოკას მეტოქე მეექვსე მაეგაშირა **კისენოსატო**. ახალგაზრდა იაპონელს კოკაი აქამდე სამჯერ შეხვდა და სამჯერვე დამარცხდა.

მესამე დივიზიონში ზედიზედ მესამედ დამარცხდა **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ), რომელსაც ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულება დაემუქრა. გაგამარუმ ყაზახ **კაძაფუძანთან** ნააგო და ახლა დარჩენილი ორივე ბრძოლა უნდა მოიგოს, თუკი რეიტინგში წინსვლა სურს.

გუშინ ბაშოზე მთავარი შეხვედრა სეკივაკე **კოტომიცუკისა** და იოკოძუნა **ჰაკუჰოს** შორის იყო. ნაგოიას დარბაზი ლამის ჩამონგრა სიხარულისგან, როდესაც ადგილობრივმა მკვიდრმა მონღოლი **ჰაკუჰო** დაამარცხა და ბაშოს 10 მოგებით ჩაუდგა სათავეში. კოტომიცუკის დღევ კიდევ ერთი გამოცდა ელის, მისი მეტოქე იოკოძუნა **ასაშორიუა**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაგოიას ბაშო

ივლისის სუპერტურნირი
8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

X დღე.: **კოკაი-მიაბიამა 0:1 (ოშიდაში), კოტომიცუკი-ჰაკუჰო 1:0, ასაშორიუ-ამა 1:0, ტაკამისაკარი-კაიო 1:0, ჩიოტაკაკი-კოტომოგიკუ 1:0, კოტოოშუ-ტამანოშიმა 1:0, ამინიშიკი-ასასეკირიუ 1:0, ვაკანოსატო-ტოკიტენკუ 1:0, დეჯიმა-ტაკეკაძე 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. **10-0: კოტომიცუკი (სეკივაკე); 9-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰიმაშო (მაეგაშირა 6); 8-2: კაიო (ოძეკი), ტოჩინონადა (მ 9)**

XI დღე: **კოკაი-კისენოსატო, ასაშორიუ-კოტომიცუკი, ჰაკუჰო-ამა, ჩიოტაკაკი-ტაკამისაკარი, კოტოოშუ-მიაბიამა, ჰიმაშო-კაიო, ტოკიტენკუ-კოტოშოგიკუ, ამინიშიკი-ტოიოონიშიმა, ასასეკირიუ-დეჯიმა, ვაკანოსატო-ტაკეკაძე, ტამანოშიმა-ტოჩინონადა, ტოკიცუშიო-ფუტენო.**

ჩოგბური — საქართველოს თასი

ყოჩები ნახევარფინალში

უნივერსიტეტი-ყოჩები 10:24

უნივერსიტეტი: (15-9) **კვათიძე, ჯაში, ნუცუბიძე, ნიკლაური, ფერაძე, ბაირამაშვილი, კილასონია**; (1-8) **დონაძე, ქორიძე, ალადაშვილი, დარასელია (მასხარაშვილი 5), გუნიავა, დათუნაშვილი (კაკალაძე 64), კაოვინი - ლ** *(საჯარიმო), ს,გ (ბაირამაშვილი)*

ყოჩები: (15-9) **დადაშიანი, მახარაშვილი, გრძელიშვილი (ჯოხაძე 56), ადანაია, ნიჟარაძე, გაბუნია, გეგენავა**; (1-8) **ასეიშვილი სბ, კიკნაველიძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, ბრეგვაძე, კობაური (კალმახელიძე 75), კუჭუხიძე (ახვლედიანი 41)**; *4ლ (კობაური, ნიჟარაძე 2, ბრეგვაძე), 2გ (დადაშიანი, გაბუნია)*

მსაჯი: **უ. ნარიმანიძე**

მესამე ეტაპის საპასუხო შეხვედრებიდან მხოლოდ ერთი გაიმართა. "დინამოს" "ლოკომოტივთან" არც უთამაშია, რუსთავის "ხარები" კი "ლელოსთან" პირველ შეხვედრაში განცდილი მარცხის შემდეგ (46:22) საპასუხო შეხვედრაში სათამაშოდ არ გამოცხადდა.

ნახევარფინალში თამაშის უფლების მოპოვებისთვის საკმაოდ დაძაბული ბრძოლა წარიმართა "ყოჩებსა" და "უნივერსიტეტს" შორის. პირველი შეხვედრა "ყოჩებმა" მინიმალური ანგარიშით 19:18 მოიგო. რაც, ცხადია, უნივერსიტეტელებს საბოლოოდ წარმატების მიღწევის შანსს უტოვებდა. მათ პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც 10:7, მაგრამ მერე "ყოჩების" შერკინების ზეწოლას ვეღარ გაუძლეს და საბოლოოდ 10:24 დამარცხდნენ.

ამრიგად, ნახევარფინალში თამაში გარანტირებული აქვთ "ლოკომოტივს", "ლელოს" და "ყოჩებს". მეოთხე მონაწილეს კი "ხარების", "უნივერსიტეტისა" და "დინამოს" ერთწრიანი ტურნირი გაარკვევს. შეჯიბრება სექტემბერში უნდა განახლდეს.

ბესიკ ჯანგავაძე

სვორტის აკადემია

სანეევი გაოგნებული დარჩა

გუშინწინ, წინადადება წამოაყენეს, გუშინ კი სიტყვა საქმედ იქცა - სპორტის აკადემიის წინ ყოველდღიური შეკრების მონაწილეებმა საქართველოს პრეზიდენტისთვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტი საჯაროდ წაიკითხეს და ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

"აქ ვიკრიბებით ყოველდღე და არ გვაქვს არც სოციალური, მით უმეტეს არც პოლიტიკური და არც სხვა მოთხოვნები, გვინდა, შენარჩუნდეს ჩვენი აკადემის დამოუკიდებლობა და სტატუსი. მადლობა ყველას ვინც მხარს გვიჭერს." - ითქვა გუშინდელი შეკრების დასაწყისში. იქვე **რობერტ შავლაყაძე** სიდნეიში მობილური ტელეფონით დაუკავშირდა სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს **ვიქტორ სანეევს**. *"დაუჯერებელ ამბავს მეუბნებით, გაოგნებული ვარ, ეს ხომ უმსგავსობაა. ახლავე შევეხმიანები საქართველოს პრეზიდენტს".* - უთხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოლიმპიურ ჩემპიონს.

... ულერს საქართველოს ჰიმნი, კვარცხლბეკი უმაღლეს საფეხურზე ადის ოქროს მედლით მკერდდამშვენებული ჩემპიონი, მერე მას კვარცხლბეკიდან ძალით აგდებენ, კვარცხლბეკის ძირში იმტვრევა არყის ბოთლები და ნადგურდება შპრიცები - იმარჯვებს ცხოვრების ჯანსაღი წესი და კვარცხლბეკზე კვლავ აჰყავთ ჩემპიონი. კითხულობენ "ოდას სპორტზე", მერე სტუდენტები იქვე ერთად იკრიბებიან ხელიხელჩაკიდებულები 9 აპრილის ცნობილი სიმღერის "ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტების" ჰანგების ფონზე. ეს იყო სიკეთის გამარჯვების იმპროვიზებული სცენა, რომელიც თავად სტუდენტებმა მოიფიქრეს და წარმოადგინეს.

ამის შემდეგ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა აკადემიიდან ჭავჭავაძისა და რუსთაველის პროსპექტები გაირბინეს ეროვნული დროშებით ხელში.

დღეს, როგორც გუშინ ვიტყობინებოდით, სპორტის აკადემიის წარმომადგენლები ი.ჭავჭავაძის უნივერსიტეტის რექტორს შეხვდებიან და, როგორც ფიქრობენ, ზოგიერთ საკითხს ნათელი მოეფინება.

კრივი
ზემძიმე წონა

კლიჩკო მაკკლაინს შეხვდება

კლიჩკო და მაკკლაინი პრესკონფერენციაზე

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ვერსიით, ზემძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო**, პროფესიულ რინგზე დაბრუნებიდან თავის პირველ ბრძოლას ამერიკელი **ჯამილ მაკკლაინის** წინააღმდეგ, 22 სექტემბერს, მიუნხენში ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ ვიტალი კლიჩკოს თითქმის სამი წელიწადია, არ უბრძოლია. ბოლოს ის **ჰასიმ რაჰმანს** უნდა შეხვედროდა, მაგრამ მზადების დროს მიღებული რამდენიმე ტრავმის (წელის და მუხლების) გამო, ბრძოლაზე უარი განაცხადა და ტიტულიც დათმო. გავიდა ცოტა ხანი და ვიტალის კვლავ მოუნდა რინგზე გასვლა. რა თქმა უნდა, მისი მთავარი მიზანი რომელიმე პრესტიჟული გაერთიანების ტიტულის დაუფლებაა. პირველ მეტოქედ კი მაკკლაინი აირჩია.

"ამ ბრძოლაში ნაგებას გამოვრიცხავ", - ამბობს კლიჩკო (35-2, 34 ნოკაუტი), რომელმაც თავის ბოლო ბრძოლაში (2004 წლის 11 დეკემბერს) ბრიტანელ **დენი უილიამსს** მერვე რაუნდში ნოკაუტი აგემა.

მაკკლაინი (38-7-3, 23 ნოკაუტი) 37 წლისაა და მან იმით "გაითქვა" სახელი, რომ ამ წლის დასაწყისში ტექნიკური ნოკაუტით წააგო სატიტულო ბრძოლა WBA-ის (კრივის მსოფლიო ასოციაცია) მაშინდელ ჩემპიონთან, რუს გიგანტ **ნიკოლაი ვალუევთან**. მისი წაგების მიზეზი კი მესამე რაუნდში მიღებული მუხლის ტრავმა გახდა.

სხვათა შორის, კლიჩკო WBC-ს საპატიო ჩემპიონის წოდებას ფლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაბრუნების შემთხვევაში, ჩემპიონთან დაუყოვნებლივ შეხვედრის მოთხოვნა შეეძლო. ახლა ჩემპიონი რუსი **ოლეგ მასკაევია**, ვინც პრინციპში, თანახმა იყო, უკრაინელს მოსკოვში შეხვედროდა. მაგრამ ბევრი მოლაპარაკების შემდეგ, ვიტალიმ უკან დაიხია და მასკაევს რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფ ნიგერიელ **სემ პიტერთან** შეხვედრის საშუალება მისცა.

შეგახსენებთ, რომ ვიტალის ძმა **ვლადიმირ კლიჩკო** IBF-ის ვერსიითაა ჩემპიონი და ამ სეზონში, რომელიმე პრესტიჟული გაერთიანების ჩემპიონთან შეხვედრას აპირებს. ვიტალი კი ოცნებობს იმ დროზე, როცა ისიც დაეუფლება ჩემპიონის სარტყელს და ამით, კრივის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერება - ზემძიმე წონაში, პრესტიჟული სარტყლების მფლობელები ერთდროულად ძმები იქნებიან.

მაკკლაინი აცნობიერებს, რომ კლიჩკოსთან შეხვედრაში კიდევ ერთხელ მიეცემა იმის შანსი, რომ ტიტულისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვოს. ბუნებრივია, ის ამ შანსის გამოყენებას ეცდება. კლიჩკოს ან მოვუგებ, ან რინგზე მოვკვდებიო, - ამბობს ამერიკელი.

"ეს ბრძოლა ჩემთვის კრივის ელიტაში დაბრუნების შანსია და თუ მის მოგებას შევძლებ, ტიტულისთვის ბრძოლის უფლებას კიდევ ერთხელ მოვიპოვებ. ადრე ექსპერტებს ხშირად გავუკრიტიკებივარ , მაგრამ გარწმუნებთ, ამჯერად ყველას დავანახე, თუ რისი თავი მაქვს. როგორც კი პრესკონფერენცია დასრულდება, მაშინვე შინ გავემგზავრები და მზადებას შევუდგები. ამ ბრძოლას ან მოვიგებ, ან რინგზე მოვკვდები. სხვა გზა არ მაქვს", - ამბობს მაკკლაინი.

მომავალ ბრძოლას იმედით შესცქერის უკრაინელი მოკრივეც. სანამ ტიტულისთვის ბრძოლის საშუალება მომეცემოდეს, ეს ჩემთვის სერიოზული გამოცდა იქნებაო, - ამბობს ვიტალი.

"ჩემი დაბრუნების დრო მოვიდა. რინგიდან იმის გამო წავედი, რომ ხშირი ტრავმები სრულფასოვნად ბრძოლის საშუალებას არ მაძლევდა. მაგრამ რეალურად, სპორტიდან არასოდეს წავსულვარ. როგორც კი ტრავმა ბოლომდე მოვირჩინე, მაშინვე სავარჯიშო დარბაზს დავუბრუნდი. მინდა, ჯამილს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ჩემთან ბრძოლას დათანხმდა. ის ძლიერიცაა და გამოცდილიც და არაერთი ძლიერი მოკრივე ჰყავს დამარცხებული. ასე რომ, ძალიან სახიფათო მეტოქეა. ჩემთვის ეს ბრძოლა ერთგვარი გამოცდა იქნება და ვიმედოვნებ, რომ მას კარგად ჩავაბარებ", - ამბობს კლიჩკო, ვინც უქმეობისას, კიევის მერობაზე იყრიდა კენჭს, მაგრამ არჩევნებში მარცხი იწვნია.

მერაბ ლორთქიფანიძე

მძლეოსნობა
უჩვეულო მოვლენა

პისტორიუსი ფიცხობს

ოსკარ პისტორიუსი

სამხრეთაფრიკელი მორბენალი **ოსკარ პისტორიუსი** იმითაა ცნობილი, რომ ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს და მიუხედავად ამისა, სპეციალური პროტეზების მეშვეობით, მსოფლიოს საუკეთესო მორბენლებს ეჯიბრება. სულ ახლახანს, მან შეფილდის ტურნირზე, 400 მეტრზე იასპარეზა და ბოლო ადგილი დაიკავა, თუმცა, გამარჯვებულს მხოლოდ ორი წამით ჩამორჩა.

პისტორიუსს ერთი ოცნება აქვს - მას პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა სურს, მაგრამ შესაძლოა, ამის უფლება მძლეოსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) არ მისცეს. ასოციაციის მოხელეები ეჭვობენ, რომ ნახშირბადოვანი კომპოზიტებისგან (ამ მასალას ფართოდ იყენებენ ფორმულა ერთის ბოლიდებისა და აეროკოსმოსურ წარმოებაში) დამზადებული დრეკადი პროტეზები მორბენალს გარკვეულ უპირატესობას შეიძლება ანიჭებდეს.

ჰოდა, პისტორიუსი აცხადებს, რომ IAAF-ში პატივს არ სცემენ ინვალიდ სპორტსმენებს. *"ამ ხალხს პარაოლიმპიური მოძრაობისადმი არანაირი პატივისცემა არ გააჩნია. ისინი ერთხელაც არ დამკავშირებიან და არაფერი უკითხავთ ჩემი პროტეზების შესახებ. მათ არ აინტერესებთ ჩემი ბედი. ისინი ჩვეულებრივი ფუნქციონერები არიან"*, - აღშფოთებას არ მალავს პისტორიუსი.

IAAF-ში კი ამბობენ, რომ პისტორიუსს ამგვარი გამონათქვამებისთვის საფუძველი არ გააჩნია. *"ჩვენ უფლება არ გვაქვს, საკითხის შეუსწავლელად, ოსკარს ოლიმპიადაზე გასვლის ნება მივცეთ. ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს იმ ხალხთან, ვინც მას ამზადებს, იმ ხალხთან, რომლებმაც ეს პროტეზი შექმნეს. უბრალოდ, გვინდა ვიცოდეთ, ხომ არ მიანიჭებს ეს პროტეზი მას რაიმე უპირატესობას, რომელიც გადამწყვეტი იქნება შეჯიბრის დროს"*, - ნათქვამია IAAF-ის კომუნიკაციების დირექტორ **ნიკ დევისის** განცხადებაში.

პისტორიუს ინვალიდთა შორის მსოფლიოს რეკორდები ეკუთვნის 100, 200 და 400 მეტრზე სირბილში. დევისი ამბობს, რომ ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, მისცემენ თუ არა უფეხო სპორტსმენს ჯანმრთელ კოლეგებთან ოლიმპიადაზე პაექრობის უფლებას. ჩვენ ლაბორატორიული კვლევების ჩატარება მოგვიწევს და ვიმედოვნებთ, რომ კონფრონტაციის ნაცვლად, ის ჩვენთან თანამშრომლობას დაიწყებსო, - დასძენს დევისი.

მერაბ ლორთქიფანიძე

TV სპორტი

18 ივლისი. ოთხშაბათი

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ურავა რედსი (იაპონია).
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. სტ. ეტიენი-მარსელი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. არსენალი-სელტა. საპასუხო მატჩი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-სევილია.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
20:55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ბორუსია (მ)-ბაიერნი (LIVE).
22:55 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 აფროსნობა. ამერიკის თასი.
07:29 სპორტის სამყარო.
07:57 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი.
09:39 სპორტის ისტორია.
09:49 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სელტა.
11:30 სპორტის ისტორია.
11:39 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06 წლების სეზონი. 1/2 ფინალი. მილანი-ბარსელონა.
13:24 მინი-მოედანი.
13:48 სპორტის ისტორია.
13:59 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
15:31 სპორტის სამყარო.
15:59 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
17:44 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვილიარეალი.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:38 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პალერმო.
21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:40 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:10 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ვანკუვერი-დალასი.
00:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:10 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1971 წელი. ლივერპული-არსენალი.
02:28 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სელტა.
04:11 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
05:52 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პალერმო.
07:45 სპორტის ისტორია.

EUROSPORT

12:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი.
12:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰანოვერი-რეინჯერსი.
13:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ლივერპული.
14:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი (LIVE).
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი.
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ლივერპული.
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-პორტუგალია. ავსტრია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-საფრანგეთი. ავსტრია (LIVE).
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი.
01:00 მულტისპორტი.
01:05 ცხენოსნობა. ჟოკეების კლუბი.
01:10 მულტისპორტი.
01:15 გოლფ-კლუბი.
01:20 აფროსნობა. როლექსის თასი.
01:55 მულტისპორტი.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი.

EUROSPORT-2

12:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალური ეტაპი. პოლონეთი.
13:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
17:00 ბილიარდი. პული. ავსტრია.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი.
19:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი.
20:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:00 მულტისპორტი.
22:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი (LIVE).
00:14 პრო-რესტლინგი.
01:45 მულტისპორტი.
02:15 ახალი ამბები.
03:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. ავსტრია-ჩეხეთი. კანადა (LIVE).
05:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. არგენტინა-ჩილე. კანადა (LIVE).
05:45 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები	
ურავა-მანჩესტერ იუნ	2:2
უტრეხტი-ბელსტარი	3:1
სპარტა-დენ ჰააგი	1:0
ვალანსი-ამიენი	1:1
ჰანოვერი-რეინჯერსი	1:0
ჰერტა-მიდლსბრო	1:1
შტურმი-გრასჰოპერი	3:2
ვესტ ჰემი-სიგმა	0:1
ბორდო-არისი	1:1
დორდრეხტი-ნიიმეგენი	3:2
იგლხი-უენსდი	1:2
ციურიხი-ვილი	2:0
მარსელი-ტულუზა	1:0
შტუტგარტი-ლაციო	1:1
ვერდერი-ლივერპული	2:3
მეცი-მონსი	2:2
ალდერშოტი-კრ. პალასი	0:2
ჰართლპული-ნიუკასლი	1:3
დაგენჰემი-ფულჰემი	0:1
ბელფორდი-ჩესტერი	3:5
ურექსემი-ბარნლი	2:5
იეოვილი-პლიმუთი	1:2
ეირდრი-დანდი იუნაიტედი	0:3
სტენჰაუზმური-პატრიკი	2:2
შვედეთი	
მალმიო-იურგორდენი	1:1
ირლანდია	
კორკი-უოტერფორდი	2:0

ჩოგბურთი

ATP. ამერსფორტი	
ვოლანდრი-ერნანდესი	6:2, 6:4
იუჟნი-ვასალო არგელო	6:2, 7:5
ჟიკელი-**დარკისი**	3:6, 4:6
მასუ-**დე ბაკერი**	6:7, 6:7
როიტმანი-ჩარდი	7:6, 6:1
ანდრეევი-ტიპსარევიჩი	6:1, 6:1
მოია-კ. როხუსი	6:2, 6:3
ალმაგრო-ეშაუერი	6:7, 4:6
დავიდენკო-**სერა**	6:4, 1:6, 1:6
ATP. შტუტგარტი	
აკასუსო-კუბეკი	2:6, 5:7
მონაკო-ჰერნიჩი	6:2, 6:1
ბერდიჩი-ლაპენტი	6:1, 6:1
ჩელა-მირნი	6:3, 6:3
კანიასი-ვავრინკა	7:6, 2:6, 0:6
ლოპესი-ბერლოკი	6:7, 7:6, 6:4
ფერერი-ლაკო	6:2, 6:2
კოლშრაიბერი-გრეული	6:1, 6:2
ჰარტფილდი-ჰაიეკი	6:4, 6:2
ნადალი-ვასკე	6:1, 6:1
ფერერო-გაუდიო	6:1, 6:2
WTA. პალერმო	
ბიჩკოვა-ივანოვა	6:3, 6:1
ზაკოპალოვა-დისდერი	6:2, 6:3
კანეპი-კრისტია	2:6, 4:6
კამერინი-გალოვიტცი	2:6, 1:6
დომინგეს ლინო-სერა ძანეტი	6:3, 6:3
შავაი-ოლარუ	6:2, 6:1
WTA. ცინცინატი	
მატეკი-კურიანოვიჩი	6:1, 6:3
ნაკამურა-ტატიშვილი	6:1, 4:6, 6:7
ლეპჩენკო-ფლოვერი	6:2, 6:2

ჩოგბურთი

ტურნირები

ATP

მერსედესის თასი

შტუტგარტი (გერმანია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 642 750 ევრო

I წრე

გაელ მონფილსი (საფ)-ტომი რობრედო (ესპ, 2) 7:6 (5), 6:2; ფერნანდო ვერდასკო (ესპ)-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:2; ბორის პაშანსკი (სერ)-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 1:6, 6:2, 6:4; მარინ ჩილიჩი (ხორ)-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:2; ირჟი ვანეკი (ჩეხ)-ივან ნავარო პასტორი (ესპ) 6:1, 6:1.

Countrywide Classic

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 525 000 დოლარი

I წრე

მარატ საფინი (რუს, 3)-კრის გუჩიონე (ავსტრა) 6:3, 6:7 (4), 7:6 (2); დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 5)-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 6:1, 6:4; ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორ, 7)-კევინ კიმი (აშშ) 6:3, 6:2; მიხაელ ბერერი (გერ)-ამერ დელიჩი (აშშ, 8) 6:4, 6:4; ნიკოლას კიფერი (გერ)-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:3, 6:3.

ჰოლანდიის ღია

ამერსფორტი (ჰოლანდია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

I წრე

ნიკოლა დევილდერი (საფ)-აგუსტინ კალერი (არგ, 5) 6:3, 6:1; ევგენი კოროლიოვი (რუს)-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ, 6) 6:3, 6:7 (3), 6:3; ჟილ სიმონი (საფ)-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:2, 6:4; რობინ ჰაასე (ჰოლ)-ფელიქს მანტიია (ესპ) 6:3, 6:2; მარიანო საბალეტა (არგ)-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:3, 6:3; ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 7:6 (3), 4:6, 7:6 (4).

WTA

Western & Southern Financial

ცინცინატი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

I წრე

სანია მირზა (ინდ, 3)-აბიგეილ სპირსი (აშშ) 6:4, 6:3; აკიკო მორიგამი (იაპ, 7)-კამილ პინი (საფ) 4:6, 7:6 (6), 7:6 (2); ლილია ოსტერლო (აშშ)-ვიქტორია კუტუზოვა (უკრ) 6:2, 6:3.

Internazionali Femminili

პალერმო (იტალია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

I წრე

ევა ბირნეროვა (ჩეხ)-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 1) 6:4, 6:2; ფლავია პენეტა (იტა)-არავან რეზაი (საფ, 6) 6:3, 7:5; სანდრა კლოზელი (გერ)-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:2, 6:2.

ტურ დე ფრანსი

ჯურს ერთი ფავორიტი დააკლდა

ტურ დე ფრანსის გუშინდელ ეტაპზე, მთელი გზის მანძილზე, პელოტონს საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი, **ნიკოლა სარკოზი** უწევდა მეგზურობას. რა თქმა უნდა, მასთან ერთად მანქანაში ტურის დირექტორი **კრისტიან პრუდომიც** იმყოფებოდა. საპატიო სტუმრებმა ფინიშამდე მიაცილეს ველომრბოლები და ეტაპის კოლუმბიელ გამარჯვებულ **ხუან მაურისიო სოლერის** შემდეგ გადაკვეთეს ფინიშის ხაზი (სურათზე). სარკოზიმვე, მორიგი ყვითელი მაისურა გადასცა რბოლის ლიდერს, დანიელ **მიქაელ რასმუსენს**.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ტურზე გამარჯვების პრაქტიკულად ყველანაირი შანსი ამოეწურა (თუ რაიმე სასწაულს არ მოახდენს) რბოლის ყაზახ ფავორიტ **ალექსანდრ ვინოკუროვს**. მიუხედავად იმისა, რომ მთელი გზის მანძილზე, მას თანაგუნდელთა მხრიდან ყურადღება არ მოჰკლებია, ვინომ მაინც ბევრი დრო დაკარგა და ახლა რვა წუთზე მეტით ჩამორჩება რბოლის ლიდერს.

ვინომ, ვისაც შარშანდელი ვუელტა აქვს მოგებული, მაგრამ შარშანვე, ოპერასიონ პუერტოს დოპინგსკანდალის გამო, ტურზე ასპარეზობის უფლება არ მისცეს, ფინიშის შემდეგ აცრემლებული უზიარებდა რეპორტიორებს თავის ემოციებს.

"ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ეს ალბათ ჩემთვის ბოლო შანსი იყო იმისა, რომ ტური მომეგო. რბოლისთვის კარგად მოვემზადე, მაგრამ აქ უცებ შეიცვალა ყველაფერი. ყველაფერი იმ ტრავმების ბრალია, რომლებიც მეხუთე ეტაპზე წაქცევისას მივიღე. ძალიან ძნელი ეტაპი იყო, რომელიც ველომრბოლებისგან მაქსიმალურ გარჯას მოითხოვდა. ტელეგრაფის აღმართზე ფავორიტების ჯგუფში დარჩენა როგორღაც შევძელი, მაგრამ გალიბიერზე ძალა აღარ მეყო. არადა, ჩემმა თანაგუნდელებმა ყველა ღონე იხმარეს იმისათვის, რომ დრო არ დამეკარგა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მოკლედ, შემიძლია ვთქვა, რომ მოგების ყველა შანსი დაკარგული მაქვს", - განაცხადა ვინოკუროვმა, ვისაც ბრიანსონის ეტაპი ორი წლის წინათ, **ლენს არმსტრონგთან** პაექრობაში აქვს მოგებული, გუშინ კი სოლერს სამი წუთით და 24 წამით ჩამორჩა. ცნობისათვის, გუშინდელი ეტაპის დროს, ვინომ რბოლის მთავარი ექიმისგან ტკივილგამაყუჩებლებიც კი ითხოვა.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ყვითელი მაისურა შეინარჩუნა რასმუსენმა, ვინც ფინიში მეექვსემ გადაკვეთა. მეორეზე კი ესპანელმა **ალეხანდრო ვალვერდემ** გადაინაცვლა, ვინც უმაღლესი კატეგორიის მთა გალიბიერის მონაკვეთზე, ლიდერის ჯგუფს ხშირი შეტევებით უშრობდა სისხლს. სწორედ ვალვერდეს დამსახურება იყო ის, რომ ვინოკუროვმა გალიბიერიზე ვერ შეძლო ფავორიტებთან დარჩენა. საბოლოოდ, ესპანელმა ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა და აბსოლუტურშიც მეორე ადგილზე გადაინაცვლა, რომელიც მანამდე გერმანელ **ლინუს გერდემანს** ეკავა.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ, რასმუსენმა უახლოეს მდევართან უპირატესობა (2 წუთი და 35 წამი) საგრძნობლად გაზარდა. არადა, რვა ეტაპის შემდეგ, ის ვალვერდეს თითქმის სამ წუთს უგებდა. ასე რომ, დანიელის უპირატესობა რეალურ მდევართან შემცირდა.

ჯერჯერობით, ფავორიტებს შორისაა ვინოკუროვის გერმანელი ლეიტენანტი **ანდრეას კლოდენი**, ვისაც ლიდერთან სამი წუთი და 50 წამი აშორებს. ახლა სწორედ კლოდენი გახდება "ასტანის" ლიდერი და ვინოც სწორედ მას მოახმარს თავის შესაძლებლობებს. კლოდენს კი არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ტურზე უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა ხელეწიფება. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მან ფრანგული ველომარათონი ორჯერ დაასრულა მოწინავე სამეულში. თანაც, ერთხელ თავისი მაშინდელი გუნდის (ტე-მობილი) ლიდერი, გერმანელი **იან ულრიხიც** კი უკან მოიტოვა.

გუშინ პელოტონმა სამი ძნელი სამთო მონაკვეთი გაიარა. ამათგან ორი (გალიბიერი და ისერანი) უმაღლესი კატეგორიისა იყო, ერთი კი (ტელეგრაფი) - პირველი კატეგორიის. დღეს და ხვალ ველომრბოლები სპრინტერულ ეტაპებზე მოითქვამენ სულს, შემდეგ კი პირენეული სამთო ეტაპების ჯერი დადგება, სადაც ალბათ საბოლოოდ გაირკვევა, თუ ვინ შევა პარიზში ყვითელი მაისურით.

მერაბ ლორთქიფანიძე

მე-9 ეტაპი. ვალ დ'იზერიდან ბრიანსონიდან (197.5 კმ)

1. მაურისიო სოლერი (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 4:14.24 (38.92 კმ/სთ); 2. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 0.38; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.38; 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 0.40; 5. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 0.42; 6. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 0.42; 7. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.42; 8. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 0.46; 9. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.46; 10. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.46...

კლასიფიკაცია ცხრა ეტაპის შემდეგ

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 43:52.48; 2. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 2.35; 3. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 2.39; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.41; 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3.08; 6. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 3.18; 7. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.39; 8. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 3.50; 9. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 3.53; 10. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 5.06... 21 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 8.05...

სოლერი ფინიშთან სარკოზიმ მიაცილა

ჯერმეინ ონილი

ინტერვიუ ჯერმეინ ონილთან

ყველაფრისთვის მზად ვარ

"ინდიანა პეისერზში" დიდ გაცვლას ამზადებენო, წერენ ჩვენი ამერიკელი კოლეგები, თუმცა არც ის გამორიცხოთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მორიგი ჭორია, რომელიც მალე თავის აქტუალობას დაკარგავს. რაც ფლეი ოფი დასრულდა, მას მერე ვინ აღარ "გაცვალეს" ამერიკელმა ჟურნალისტებმა - სხვაგან გადასვლას კევინ გარნეტს, ჯერმეინ ონილს, პაუ გასოლს, კირკ ჰაინრიხს, კობი ბრაიანტსა და ჩონსი ბილაპსს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა ჯერჯერობით არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. "პეისერზში" შემადგენლობის სერიოზული რეორგანიზაცია, ჯერ კიდევ შარშანდელი რეგულარულისას დაიწყო (გაცვლის შედეგად გუნდი სტივენ ჯექსონს დაემშვიდობა), რის გამოც ჯერმეინთან მოლაპარაკება ჯერ კიდევ შარშან რამდენიმე გუნდმა გამართა, თუმცა მათ ვერ შესთავაზეს "ინდიანას" იმდენად საინტერესო მოთამაშეები, რომ გუნდი თავის ლიდერსა და ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მაღალ მოთამაშეს შეელეოდა. ამჯერად ჯერმეინი სან ფრანცისკოში იმყოფება, სადაც თავისი მეგობრის გოლფკლუბის გახსნას უნდა დაესწროს, მერე კი ინდივიდუალურად ვარჯიშს განაახლებს. ონილთან საუბრის მთავარი თემაც სწორედ მისი "ინდიანაში" დარჩენის საკითხია.

- ჯერმეინ, თქვენი აყვანით დაინტერესებული გუნდების სია დღითიდღე იზრდება.

- სიმართლე გითხრათ, ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან იქამდე, სანამ ტრანსფერი არ შემდგარა, ყველაფერი ზედაპირულია და სერიოზულად არ უნდა მიიღოთ. ამასთან ერთად, თუ კლუბთან გრძელვადიანი კონტრაქტი არ გაკავშირებს ან გუნდში მიიჩნევენ, რომ შენ ის თანხა აღარ ღირხარ, რაც თავის დროზე გადაგიხადეს, მაშინ გუნდსაც და, პრინციპში, მოთამაშესაც შეუძლიათ კონტრაქტის დარღვევა, მერე კი შეიძლება ახლიდან გაგიფორმონ ხელშეკრულება, ოღონდ მხოლოდ იმისათვის, რომ ნაკლები ღირებულების მქონე მოთამაშე სხვაგან უფრო იოლად გადაცვალონ.

- "მაიამის" ვარიანტი მოიწონეთ, სხვებზე კი კომენტარი არც კი გაგიკეთებიათ.

- ჯერ ერთი, "მაიამი" იყო ერთადერთი გუნდი, რომელიც პირადად ჩემს აგენტს დაუკავშირდა, რაც მესიამოვნა. სხვა გუნდებისგან კი ჩემით დაინტერესება მხოლოდ ელექტრონული ფოსტით ურთიერთობასა და უაზრო ფაქსების გზავნაში აისახა, რაც არასერიოზულად მეჩვენება. ამასთან ერთად, "მაიამიდან" შაკმაც დამირეკა და თუ ფლორიდაში ჩამოსვლას გადაწყვეტ, ცოტა ხნით ადრე შემატყობინე და გიდობას მე გაგიწევო. ესეც სასიამოვნო და სიმართლე გითხრათ, მოულოდნელიც კი იყო.

- "მაიამი" თქვენს სანაცვლოდ ანტუან უოკერს, ჯეიმს პოუსისა და მომდევნო ორი დრაფტის პირველ წრეებში არჩევნის უფლებას იძლევა. ძალიან ბევრი ხომ არ არის?

- 28 წლის ვარ, ასე რომ, მგონი სამართლიანი შეთავაზება იყო, თუმცა შეიძლება ზედმეტიცაა. ვერ გეტყვით. თუ გაცვლა შედგება, ესე იგი ორივე გუნდი კმაყოფილია. ჩემი სურვილი "პეისერზში" დარჩენა და აქ ჩემი საუკეთესო კალათბურთის ჩვენებაა, თუმცა ამის გაკეთება "მაიამიში" და, ალბათ, ნებისმიერ სხვა გუნდში შემეძლება.

- ერთი კვირის წინათ, "ინდიანაში" გადასვლის პრეტენდენტი ჯამაალ მაგლორი იყო, მერე კი გუნდმა "ლეიკერსიდან" კრის მიმის აყვანაც მოისურვა. საბოლოოდ, ვერცერთი ვერ დაიმატეთ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ "პეისერზი" თავისუფალი აგენტებისთვის მიუღებელი კლუბია?

- არა მგონია. შეიძლება მაგლორის სხვა უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდა (ჯამაალი "პორტლენდიდან" "ნიუ ჯერსიში" გადავიდა - რედ.), მიმი კი, თუ არ ვცდები, მკურნალობს და მისი გასინჯვაც ამის გამო ვერ მოხერხდა. "პეისერზში" მინიმუმ ერთი ვარსკვლავი ყოველთვის იყო და არ მგონია, ეს ტრადიცია დაირღვეს. გულშემატკივრებს ლიდერების, ვარსკვლავების ხილვა სურთ, ხოლო გამორჩეულ მოთამაშეებთან ერთად კი კარგი შედეგი და წარმატებაც მოდის.

- ხომ არ არის სარისკო დიდი ინვესტიციის ისეთ მოთამაშეში ჩადება, რომელსაც კარიერაში ერთადერთხელ ჩაუტარებია რეგულარულის 80 და მეტი მატჩი?

- ტრავმებისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა ჩემი შემთხვევა მართლაც გამორჩეულია. როგორც კი საუკეთესო ფორმაში შევდივარ, ეგრევე ან მყესს ვინყვეტ, ან ზურგის ტრავმას ვიღებ, ან კიდევ რამე სხვა უბედურება ხდება. მაგალითად, წინა სეზონიდან მოყოლებული, მუხლის მიკროტრავმა გავიმიზეზე, თვალი ვიტკინე, მარჯვენა კოჭის მყესი გავიწყვიტე. საბოლოოდ, მხოლოდ 44 შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა.

- როგორ გგონიათ, დატოვებენ თუ არა გუნდში ტროი მერფის, ჯამაალ ტინსლისა და მაიკ დანლივის?

- დარწმუნებილი ვარ, რომ ტინსლი ჩვენთან დარჩება, ხოლო ტროიმ კი ჯერ კიდევ შარშანდელი რეგულარულისას გამოთქვა "პეისერზთან" ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმების სურვილი. მაიკთან დაკავშირებით კი ვერაფერს გეტყვით. ცოტათი ჩაკეტილი, თავისებური ადამიანია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი გუნდში დარჩენა არ გამიხარდება. დანლივი ძალიან კარგი მოთამაშეა. ბოლო წლებია, ჩემს გუნდს ფატალურად არ უმართლებს. იმედი მაქვს, წელს ამას წერტილი დაესმება. ჩვენ აღმოსავლეთის პირველი სამეულის გუნდი ვართ და ფლეი ოფში გასვლა-არგასვლის საკითხი დღის წესრიგში საერთოდ არ უნდა იდგეს.

ზურაბ თალაკვაძე

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად ჭითირიშვილი
კოკა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოკა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაჟარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი
(დელომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა